№ 32
თებერვლის 8, შაბათი 1903 წ.
1877

ივერია

№ 32
თებერვლის 8, შაბათი 1903 წ.
1903

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

პირველ თებერვლიდან წლის დამლევამდე
გაზ. „ივერია“
ჰღირს 9 მანეთი და 50 კაპ.

ანნა თამარის ასული ციცქიევისა, და მისი ივლიტა, ძმანი მათნი თავადნი ალექსანდრე და მიხეილ თამარის ძენი რუსიევ-ყორჩიბაშნი, ელისაბედ ივანეს ასული და მღვდელი იოანე ციცქიევები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებისა პირველი ქმრისა, მეორე, მესამე და მეოთხე სიძისა, მეხუთე—შვილისა და მეექვსე—ძმისა თელავის ნოტარიუსის

მიხეილ ალექსის ძის ციცქიევისა.

დასაფლავება დანიშნულია 8 თებერვალს ს. თელავში. (1—32—1).

ს.-პეტერბურგის კომპანია „ნადეჟდა“

ზღვით, მდინარით და ხმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად

დაარსებულია 1847 წელს.

ძირითადი თანხა . . . . 1.650.000 მან.
სათადარიგო თანხა . . . . 2 664,808 მან.

I. გაგზავნა ტვირთისა.

300 სააგენტოზედ მეტია ევროპიულ რუსეთის ყველა უმთავრესს ადგილას, კავკასიაში, შუა აზიაში, სიბირში და შორეულ აღმოსავლეთად, აგრეთვე წარმომადგენელნი ჰყავს უმთავრესს ქალაქებში საზღვარ-გარედ.

კომპანია კისრულობს გაგზავნას და გადაზიდვას ყოველ-გვარ საქონლისა და ნივთისას, მიღებას და ჩაბარებას სახლში, საწყობსა და მაღაზიაში.

კისრულობს ჩაბარებას ბარგი გამგზავნთა მიერ აღნიშნულ პირობით (ფას-დადებით გამგზავნის ხარჯზედ, ფულის გაგზავნა დეპეშით საქონლის გაგზავნისათვის იქ, სადაც ბარგი და საქონელი უნდა იქმნას ჩაბარებული და სხ.).

შენახვა საქონლისა შეღავათიანის პირობით იმ დრომდე, ვიდრე პატრონს ჩაჰბარდებოდეს და დაზღვევა მისი საწყობში, რისთვისაც ბევრგან გვაქვს დიდნი საკუთარნი საწყობანი, განსაკუთრებით საქონლის შესანახად მოწყობილნი.

II. ნაოსნობა.

კომპანიას აქვს საკუთარი გემები, ზღვებსა და მდინარეში სავალელი ნავები (ბარჟები) პასაჟირებისა და საქონლისათვის, აგრეთვე საბუქსირო გემები (სულ 70 ნავი და გემი). ავლიანი მიმოსვლა პასაჟირთა და ზიდვს საქონლისა მდ. ვოლგას ყოველ ბაქან შორის, რიბინსკიდგან ასტრახანამდე და კასპიის ზღვის ყოველ პორტა შორის, ასტრახანიდგან სპარსეთის საზღვრებამდე.

უზარმაზარნი საწყობნი საქონლისა ნიჟნი-ნოვგოროდში (სიბირის ბაქანთან, ასტრახანსა, ბაქოსა და კრასნოვოდსკში).

III. დაზღვევის ოპერაციები.

ა) **დაზღვევა** საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვითა და არით.
ბ) **დაზღვევა** ცეცხლისაგან ყოველგვარ ქონებისა.
გ) **დაზღვევა** ყოველ-გვარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ბარჟებისა ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.
დ) **დაზღვევა** განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას კისრულობს როგორც გამგეობა ისე კომპანიის სააგენტონი ყველგან. სატრანსპორტო სააგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებენ 350-ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის სააგენტონი.

გამგეობა ს.-პეტერბურგის კომპანიის **„ნადეჟდას“**-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისტვოს პროსპექტზედ, სახლის № 10.

სანდო კაცნი და რწმუნებულნი: საზღვაო ნაოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნაოსნობისათვის—ნიჟნი-ნოვგოროდში.

ტფილისის სააგენტო სასახლის ქუჩაზეა, ქართველთა თავად-აზნაურობის სახლში. ტელეფონი № 108.

(120—6.—84)

№ 36. ტელეფონი № 617.

ქართული თეატრი

კვირას, 9 თებერვალს 1903 წ.
დილის იაფ-ფასიანი წარმოდგენა
ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის
მიერ წარმოდგენილი იქნება
დაკლებულის ფასებით
დილის თორმეტ საათზედ

პეპო

კომედია 3 მოქ. გ. სუნდუკიანცისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ბ-ნნი: ლ. ჩერქეზიშვილისა, ნ. გამყრელიძისა, ბ. რიონელი; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, დ. აწყურელი, ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი.

ადგილების ფასი დაკლებულია.
დასაწყისი დილის 12 საათზედ.

მზადდება წარმოსადგენად ვ. გუნიას საბენეფისოდ ორი ახალი პიესა: „დარღვეული კერა“ და „სიძე სიმამრი“.

რეჟისორი **ვალ. გუნია.**

თეატრის გამგეობა უმორჩილესად სთხოვს მაყურებლებს, პიესის მოქმედების დროს ტაშს ნუ დაუკრავენ და ნუ გამოიწვევენ ხოლმე მსახიობთ, რადგან უდროვო-დროს მოქმედების შეწყვეტა პიესას ახდენს და მსახიობთაც აკრძალული აქვთ მოქმედების დასრულებამდე გამოსვლა თავის დასაკრავად.

ქართველ ქალთა ამხანაგობის

სამკერვალოში

მიიღებენ ყოველგვარ ხელსაქმეს: თეთრეულს ფერადი ძაფით ნაკერებს და **კაბებს** ქალებისას და ბავშვებისას.

ბარონის ქუჩა, № 12.

აბრეშუმის ჭიის თესლი

ხ. ს. ხრისტოდულიდისა.

ფირმა მისი არსებობს დიდის ხნიდგან და ცნობილია, როგორც საუკეთესო: საბერძნეთში, სათათრეთში, სპარსეთში და კავკასიაში. ყიდვა შეიძლება **მხოლოდ 15 თებერვლამდე** ბ-ნ ხ. ს. ხრისტოდულთან: სასტუმრო „კავკაზ“-ში, № 14, საიმპ. კავკ. სასოფ.-სამეურნეო საზ. კანცელარიაში და ფრანციულ კანტორაში, № 127 თამამშოვის ქარვასლაში. (7—26—5)

ექიმი

ვ. ღამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო ავათმყოფებს დილის 10—11 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642. (წ.)

ტფილისის კერძო სამკურნალო

გედევანიშვილისა

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.
ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.

ვ. ღ. ღამბაშიძე—შინაგანი: 9—10.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11ს.

კამოევი.—საშ. რდეს (ხირურგიული) ავადმყოფთათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11—მდის.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ა. ზ. ბარხუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12— საათ.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 ს., კვირაობით 10—11 ს.

ზრ. ვ. სობოლევსკი—ღოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით პარასკეობით და შაბათობით 1—3 საათ.

ზ. მ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—3 ს.

საღამოთი:

ა. მუსხელოვი:—თვალის ავადმყოფობა— ორშ. ხოთშ. და შაბათი. 11½—12½.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

მასაჟი და საექიმო გიმნასტიკა: ორშაბათობით ოთხშაბათობით და პარასკეობით 6—8 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით, კტრაოები 3 მან. 5 მანეთამდე. (წ.)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ჟ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფისა.

მ. გ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

გ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგიან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულისა და კანის ავადმყოფობისა (ელექტროტერაპია)

ნ. ს. ლუზეცკი 6—7 საათამდე, ნერვებისა (ელექტროტერაპია), შინაგანი და ვენერიული.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბაკინა** 7—7½ საათამდის. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

გ. ა. თარხანოვი. 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

ხ. ტ. არშანიტაკი. 11—1 ს. ვაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памят. Ворон-

(წლ.

ტფილისი

◆ კვირას ტფილისის ოლქის სასამართლოს სადგურში დანიშნულია წერითა და ქალაქდების გადაწერით მცხოვრებთა დამხმარებელ საზოგადოების წევრთა კრება, რომელზედაც ამორჩეულ იქმნებიან საზოგადოების რამდენიმე თანამდებობის აღმასრულებელნი და სარევიზიო კომისია, რომელმაც უნდა განიხილოს საზოგადოების მოქმედება და ხარჯთ-აღრიცხვა.

◆ დღეს ტფილისის სასამართლო პალატაში დანიშნულია თავ. ა. დადიანის საქმე, რომელსაც ქალის გაუპატიურება ჰბრალდება.

◆ როგორც მოვკარით ყური, ტფილისის საბაღოსნო სამეურნეო სკოლის საპედაგოგიო საბჭოს განუზრახავს, მიჰმართოს მიწად-მოქმედების მინისტრს და სთხოვოს, რომ ამ სკოლასთან დაარსებულ იქმნას აბრეშუმის ჭიის მოვლის კურსები.

◆ რადგანაც წარსულ კვირას პირველსა და მეორე გიმნაზიაში მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოების წევრთა კრება არ შესდგა, ამიტომ ამავე საზოგადოების კრება დაინიშნა 9 თებერვლისთვის.

◆ ორშაბათს ქალაქის სადგურში დანიშნულია კრება ორის აღმასრულებელი კომისიისა; ერთისა—რომელსაც აბარია დიდის მთავრინას ოლგა თეოდორეს ასულის სახელობაზედ ძეგლის აგება, მეორესი—ქალაქში უძრავ მამულების დამფასებელ კომისიისა; კომისიეებმა უნდა ამოირჩიონ თავმჯდომარენი და განიხილონ ზოგიერთი საჭირო საქმე.

◆ დღეს ტფილისის მომრიგებელ-მოსამართლის მეორე განყოფილებაში დანიშნულია ქალაქის ხმოსან-ბაღდასაროვის საქმე, რომელსაც ქალაქის სავაჭრო ზედამხედველის ბ-ნ ფურცელაძის ცილის წამების ბრალი ედება.

◆ სარწმუნო წყაროებიდგან შევიტყეთ, რომ თერგის ოლქის სამეურნეო და სამრეწველო საზოგადოება, ქ. გროზნაში, მომავალ გაზაფხულზედ აპირებს სამეურნეო მასალებისა და იარაღების საწყობის დაარსებას; საბჭოს უკვე მიუღია ნება-რთვა მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროსაგან; კავკასიაში მინისტრის რწმუნებულმა მიიღო ამის შესახებ მინისტრისაგან მოწერილობა, ყოველი ღონისძიება იხმარეთ, ხალხს გაუადვილდეს იარაღის შეძენაო.

◆ ტფილისში პურისა და ხორცის ნიხრის დამწესებელმა კომისიამ მიჰმართა ქალაქის გამგეობას და სთხოვა, მიეცეს ნება კომისიას, დახარჯონ ოცდა ათი თუმანი პურის გამოცხობის საცდელად, რათა შეეძლოს გამოიკვლიოს, რა ჯდება გირვანქა პური, რომ მის მიხედვით კომისიას შეეძლოს პურზედ ნიხრის დადგენაო.

◆ მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს შეუდგენია პროექტი, რომელსაც აზრად აქვს დაარსდეს იმისთანა დაწესებულებანი, სადაც შეიძლებოდეს პრაქტიკულად მომზადება სამეურნეო ასპარეზზედ მოღვაწეებისა; ამასთანავე, პროექტის ძალით უნდა გაიხსნას რუსეთის სხვა-და-სხვა კუთხესა და გუბერნიებში საშუალო და დაბალი სამეურნე სასწავლებლები, რადგანაც გავრცელდება მეურნეობის ცოდნა. დაბალი სკოლები დაყოფილი იქნება ორ კატეგორიათ. ერთ კატეგორიას ეკუთვნიან ეგრედ წოდებული საპრაქტიკო კურსები, მეორე კატეგორიას სათეორიო; ეს პროექტი სამინისტროს სახელმწიფო საბჭოში წარუდგენია, რომელიც ამ ახლო მომავალში განიხილავს.

◆ როგორც მოვკარით ყური, ექსარხოსს განუზრახავს ტფილისის საკათედრო ტაძრის კანკელის ხატები გარედ გამოსწიოს, რადგანაც ახლა ეს ხატები ძალიან ღრმად სჩედან ნიშებშიო. ამასთანავე წმინდა ნინოს ჯვარისთვის, იმავე ალაგას, სადაც ეხლა ასვენია იგი, უნდა აშენდეს პატარა ეკკლესიასავით ნიში, სადაც დასვენებული იქნება წმინდა ჯვარი; აღებული იქნება თავ. ციციშვილის სასაფლაოს ძეგლიც, რადგანაც ამისთანა ძეგლების დადგმა ეკკლესიაში არ არის მიღებულიო და ამის მაგიერ იატაკზედ მარმარილოს ქვა იქნება დადებული, სახელისა და გვარის წარწერით; ექსარხოსს, გორისა და ალავერდის ეპისკოპოზების და ხუროთ-მოძღვრის თანადასწრებით უკვე დაუთვალიერებია ტაძარი და აღუნიშნავთ ყოველივე, რაც საჭიროდ დაუნახავთ გადასაკეთებლად.

◆ კავკასიის ზოგიერთ მდინარიდგან მრავალ სოფელს გაჰყავს არხები სარწყავ წყლისათვის. ბევრჯელ სოფლებ შორის დიდი დავიდარაბა ასტყდება ხოლმე, ამ დავიდარაბას თითქმის კაცის კვლაც მოსდევს და სულ-კი იმაზედ, რომ არა იმ სოფელს მიჰყავს მომეტებული წყალი არა იმასაო. ამის გამო კავკასიაში წყალთა მომწესრიგებელ მმართველობას განუზრახავს მომავალ გაზაფხულზედ გაჰგზავნოს თავისი რწმუნებულები ამ არხების დასათვალიერებლად. როგორც ყური მოვკარით, ერთი ამ რწმუნებულთაგანი დაინიშნება ქართლშიაც, რომელიც დაათვალიერებს მდინარე თესმიდგან გაყვანილ არხებს; ამ მდინარიდგან, როგორც წლების განაწილებისიიდგან სჩანს, მრავალი სოფელი ჰსარგებლობს წყალით, ამ მდინარიდგან ირწყვის ხოვლისა, დოესისა, ხანდაკისა, სასირეთისა, ახალქალაქისა, მეტეხისა, ნიაბისა, გომისა და მრავალ პატარა სოფლის მიდამოები; წყლის მმართველობას შეუმჩნევია, რომ ბევრჯელ ზაფხულობით, როცა წყალის სიძვირეა და მდინარეც კლებულობს, სოფელი სოფელზედ ამხედრდება ხოლმე, მათ შორის დიდი შფოთი და უთანხმოება ჩნდება და მმართველობისაგან გამწესებულ პირებს არ ძალუძს მათი მორიგება. ამ უთანხმოების მოსასპობად, მმართველობისაგან დანიშნულ კაცს დაევალება ადგილობრივ გამოიკვლიოს, რომელ სოფელს რამდენათ უჭირს წყალი, რომ მის მიხედვით დაიყოს წყალი მათ შორის; იმასაც-კი ამობენ, ვითომ კავკასიის წყალთა მომწესრიგებელ მმართველობას განზრახვა აქვს ეს კაცი წელიწადში ორჯელ ინიშნებოდეს ამ რუების დასათვალიერებლადაო, გაზაფხულობით და ზაფხულობით, როცა წყალი შესამჩნევად კლებულობს.

ამ გვარი ადგილები ბევრია ქალაქში დ ურიგო არ იქნება მმართველობა იმ ადგილებ საც მიაქცევდეს ყურადღებას და ილონებდეს რასმე ამ მწვავის საქმის მოსაწესრიგებლად.

მოსვენება უგანათლებულესის თავადი ნ. დ. მინგრელსკისა დაბა ძველ სენაკში

დიდი ამაგი უნდა მიუძღოდეს კაცს საზო გადოების წინაშე, რომ დაიმსახუროს ის პა ტივის ცემა, რა გვარი პატივის ცემითაც ძვე ლი სენაკის საზოგადოება დაუხვდა უგანათ ლებულესის თავადის ნიკოლოზ მინგრელსკი ცხედარს. აქ საკვირველიც არა არის-რა. ჯე აქაურ სააზნაურო და სამინისტრო სკოლებ დიდი ნივთიერი დახმარება აღმოუჩინა თ ვალმა თავის დროზედ. ამასთან ძველი სენაკ როგორც ვიცით, სამეგრელოს მთავართა რ ზიდენცია იყო და ნიკოლოზ მინგრელსკ სახელთან ხალხს შეკავშირებული ჰქონდა ს

სიამოვნო მოგონება თავის წარსულისა და ამ ჟამად რაღაც უკუღმართ გარემოებათა წყალობით საეჭვოდ გადაქცეულის ვინაობისა. თითქო ხალხი ჰგრძნობს, რომ ნიკო მინგრელსკისთან ერთად ჰმარხავს ამ საპატიო გვამთან შეკავშირებულს იმ ჟრუანტელის მომგვრელ მოგონებასაო და ეს გარემოება ერთი ათად უფრო აორკეცებდა მათ გლოვასა და ვიშს.

3 თებერვალს დილის რვა საათი იქმნებოდა, რომ აქაურ ეკკლესიის ზარების სამგლოვიარო ზუზუნი გაისმა, ხალხმაც იწყო დენა ახლო-მახლო სოფლებიდგან და რამდენისამე საათის გაანმავლობაში მთელი თავისუფალი ადგილი სააზნაურო სკოლასა და ეკკლესიას შუა რამდენისამე ასის საჟენის მანძილზედ ეჭირა სამგლოვიაროდ მოსულს აუარებელს ქალსა და კაცს. საყდრის წინ სააზნაურო სკოლის კარებთან აშენებული იყო ერთიანის მწვანით საუცხოვოდ მორთული სამგლოვიარო ფარდული. ფარდულს თავზედ ედგა მწვანე ფოთლისსავე ცოცხალი გვირგვინები, ქვემოდ, დასავლეთის მხრივ ეკიდა დიდი დაფნისა და სხვა მცენარეთაგან გაკეთებული გვირგვინი. მწვანითვე მოკაზმულ ბოძებს შუა გახლართული იყო დაფნისა, ტუისა და სხვა მცენარეთა ფოთლებისაგან ნაკეთები გრეხილები. დასავლეთით აივანზედ მოჭედილს შავს ფიცარს ოქროს ასოებით ეწერა: „С. К. Н. Д. М.“ ქართულად-კი: „უგანათლებულესი თავადი სამეგრელოსი ნიკოლოოზი მთავრის დავითის ძე დადიანი“. წარწერას ზემოდგან ამშვენებდა ოქროსავე გვირგვინი.

ყოველ სახლისა თუ დუქნის წინ ფრიალებდა შავი ბაირაღი ნიშნად მგლოვიარობისა. ფარდულ ქვეშ მარჯვნივ იდგა სააზნაურო სკოლის მგალობელთა გუნდი, მარცხნივ იდგნენ სამრევლო საქალებო სკოლის მოწაფენი. ფარდულის აღმოსავლეთით ადგილი ქალებს ეჭირათ, დასავლეთით გზის ჩაყოლებაზე მარჯვნივ იდგნენ სათავად-აზნაურო სკოლის მოწაფენი მასწავლებლებითურთ, მარცხნივ სამინისტრო სკოლის შეგირდები და მასწავლებელნი. ყოველ მოსწავლეს მწვანე გვირგვინი ეჭირა ხელში. ბავშვების უკან აუარებელი ხალხი იდგა. დასავლეთით ფარდულის შესავალთან ენთო ძველებური რვა არშინიანი კელაპტარი (სანთელი). იდგა ეს ხალხის ზღვა ერთ ადგილას, თითქო გაქვავებულიაო და ყველას თვალები მიპყრობილი იყო ახალ-სენაკიდგან მომავალ გზა-ტკეცილისაკენ, საიდგანაც ძვირფას ცხედარს მოელოდნენ.

შუადღე იქნებოდა, როცა გამოჩნდა სამგლოვიარო პროცესია. ცხედარს მოსდევდა ეტლებით განსვენებულის ნათესაობა და აუარებელი თავად-აზნაურობა. მათ შორის ბრძანდებოდა მისი ყოვ. უსამღ. იმერეთის ეპისკოპოსი ლეონიდი. გამოჩნდა თუ არა სამგლოვიაროდ მორთული ამფიონი, რომელზედაც ესვენა ცხედარი, ხალხში გაისმა ქვითინი, რომელიც ბოლოს ხმა ამაღლებულ გოდებად გადაიქცა. ცხედარი ნელ-ნელა უახლოვდებოდა ფარდულს, ხოლო გზის ორსავე მხარეზედ ჩამწკრივებულნი მოსწავლენი უფენდნენ დამზადებულ მწვანის-გვირგვინებს. როცა ცხედარი შეასვენეს ფარდულში, ჩვეულებრივი მისამძიმრების შემდეგ (სამძიმარს იღებდა შვილი განსვენებულისა თ. ნიკოლოოზ ნიკოლოოზის ძე მინგრელსკი და დაი პრინცესა სალომე მიურატისა), ძველი სენაკის სააზნაურო სკოლის გამგემ ბ-ნმა წითლიძემ გრძნობით სავსე სიტყვა წარმოსთქვა და მოსწავლეთა მაგიერ კუბო გვირგვინით შეამკო. გვირგვინი უძღვნეს აგრეთვე სამრევლო და სამინისტრო სკოლის მოწაფეებმა. სიტყვა წარმოსთქვა და გვირგვინით კუბო შეამკო სენაკის მოქალაქეთა და აზნაურთა სახელით აზ. გ. გამსახურდიამ.

ამას შემდეგ დაიძრა პროცესია და გაემართა მარტვილისაკენ. ცხედარს თითქმის სამის ვერსის მანძილზე გაჰყვა ხალხი. წინ მიდიოდა მოსწავლეთაგან შემდგარი მგალობელთა გუნდი, რომელიც „წმინდაო ღმერთოს“ გალობდა შეცვლით: სააზნაურო სკოლისა—ქართულად, ხოლო სამინისტროსი—რუსულად. მცირე პანაშვიდის შემდეგ ხალხი საუკუნოდ გამოეთხოვა ძვირფას ნეშთს და გაისტუმრა მარტვილის მონასტრისაკენ, სადაც საგვარეულო ალდამაში უნდა დაკრძალონ განსვენებულის გვამი.

აქ საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ყველა მზადებაში მხურვალე მონაწილეობას იღებდა და იაოსნობდა აქაური დეკანოზი-მღვდელი ქავთარაძე და მაზრის უფროსი ბ-ნი რიაზანოვი.

მიცვალებულის ასეთმა პატივის-ცემამ დიდად იმოქმედა მიცვალეიულის ახალგაზდა შვილზედ, რომელმაც სკოლის უფროსს უთხრა: „ვეცდები მოკლე დროში ტკბილ სამშობლო ენაზე გადაგიხადოთ მადლობაო“. იგივე განუმეორა დეკანოზს ქავთარაძეს და მთელ საზოგადოებას.

დამსწრეთაგანი.

—

მოგვყავს აქავე სიტყვა თქმული ძველისსენაკის სათავად-აზნაურო სკოლის გამგის ბ-ნ არსენ წითლიძეს მიერ:

სიტყვა თქმული არსენ წითლიძის მიერ.

უგანათლებულესო თავადო ნიკოლოოზ დავითის ძევ! შენს დიდათ პატივსაცემ ცხედრის წინაშე მდგომს უნებურად მაგონდება ერთი ბრძენის ნათქვამი. ამ ბრძენის სიტყვით თითოეულს კაცს ამ ქვეყნად სამი მეგობარი ყავს: პირველი—ქონება სიმდიდრე, მეორე—ნაცნობთა და ნათესავთა გუნდი, ხოლო მესამე მეგობარი—კეთილი საქმეები. პირველი ამ მეგობართაგანი ე. ი. სიმდიდრე და მასთან სხვა-და-სხვა პრივილეგია-უფლებანი იმდენად უმადურია, რომ საფლავის კარებამდინაც არ მიჰყვება თავის პატრონს, მეორე ე. ი. ნაცნობთა და ნათესავთა გუნდი მხოლოდ საფლავის კარებამდის მიაცილებს, მესამე განუშორებელი მეგობარი—კეთილი საქმეები თვით ზეციერი მეუფის ტახტამდის მიჰყვება ადამიანს და იქ უტყუარნი მოწამენი არიან მისის ამ ქვეყნად კეთილის მოღვაწეობისა, ადამიანურის ცხოვრებისა.

ბედნიერია ის კაცი, რომელიც პირველ ორის ჯურის მეგობარს არ სჯერდება და სცდილობს კეთილ საქმეებითაც გააშუქოს თვისი ამ ქვეყნიური ცხოვრება. ბედნიერი ხარ, შენ, რომელიც არ დასჯერდი ამ ორ მეგობარს და სცდილობდი, როცა შემთხვევა მოგეცემოდა, კეთილი საქმეებითაც აღგებეჭდა შენი ნავალი. ბევრნი მაღალის წრისანი ბედის მადლიერნი შემოირტყმენ ხოლმე ყინულივით ცივს მიუკარებელს კედელს განკერძოებისას, პირადის კმაყოფილების ძებნაში ყურს მოიყრუებენ უმცროს მოძმეთა კვნესა-გოდებისათვის და მათ ყურს აღარ სწვდება ოხვრა და ჩივილი ბედის უმადურთა, რომელნიც ამათგან დახმარებას ითხოვენ.

ხოლო ყურის მოყრუება იმ დროს, როცა გარშემო ასეთი წყვდიადი გამეფებულა, როცა უმცროს მოძმეთა უმეტესობას სისაწყლესა და უმეცრებაში ამოსდის სული, როცა ყოველ ფეხის გადადგმაზე გხვდება მსხვერპლი უმეცრების, სისაწყლისა და ძალმომრეობისა, დიაღ, ამ დროს ხელის არ გაწვდა შევიწროებულთა დასახმარებლად დიდი დანაშაულია ყველასაგან, და ნამეტნავად იმათგან, ვისაც ნივთიერი და გონებრივი ძალა ნებას აძლევს, რამდენსამე ბედის მომდურავს მაინც შეაშროს თვალებზე ცრემლი. ამ შემთხვევაში მოყვასის ურგები ადამიანი დამნაშავე არის საზოგადოების წინაშე, დამნაშავეა წინაშე თვით მაცხოვრისა, რომლის სიყვარულით აღსავსე თვალები ყოველთვის მიპყრობილი იყო მაშვრალთა და ტვირთმძიმეთადმი.

ვიმეორებ, ბედნიერი ხარ შენ, რომ ასეთი სამდურავი თავიდგან აიცილე და თუ რომელიმე გაჭირვებულის ხმა შენამდის მოაღწევდა, დახმარებას არ მოაკლებდი. ბევრს მოსწავლე ახალგაზდას მიუღია შენგან ნივთიერი დახმარება, ბევრს საზოგადო დაწესებულებას გაუმართავს ხელი შენის სიუხვით.

მე არ შევუდგები აქ იმის ჩამოთვლას, თუ ვინ რა დახმარება მიიღო შენგან. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ ძველი-სენაკის საზნაურო სკოლის ისტორიაში ბრწყინვალე ასოებით ჩაქსოვილია ნიკო მინგრელსკის სახელი და, სანამ ეს სკოლა ისულდგმულებს, არ დაივიწყებს იმ ამაგს, რომელიც შენს სიცოცხლეში დასდევი. გარწმუნებ, რომ თვით შენს ბრწყინვალე გვარიშვილობაზე, დიდებულს ჩამომავლობაზე ათასჯერ უფრო მეტად ბრწყინავს ეს ამაგი, ეს ქველ-მოქმედება შენი. ეს სხვათა შორის ამით აიხსნება, რომ შენის სამშობლოს შვილნი გულწრფელად ჰგლოვობენ შენს ამ სოფლიდგან განსვლას და თვალცრემლიანი გაცილებენ უკანასკნელ განსასვენებელ ადგილამდე. ზოგნი ჰგლოვობენ ამ შემთხვევაში სამეგრელოს უკანასკნელ მთავრის შვილის დაკარგვას, ზოგნი—უმაღლესად განათლებული კაცისას, ზოგნი—საუკეთესო მეგობრისას, ჩვენ-კი ყველა ამასთან ვგლოვობთ ქველის მომქმედ ადამიანის მოშორებას, რომელიც მაშველ ხელს უწვდიდი, თუ-კი გაჭირვებულის ხმას შენამდის მოაღწევინებდნენ.

დასასრულ ნება მიბოძე სენაკის სკოლის მოწაფეთა მონდობილობით შენი ცხედარი შევამკო გვირგვინით, რომელსაც ძვირფას სამკაულების ნაცვლად ჰქარგავს თვით ამ სკოლის მოწაფეთა უმანკო ცრემლი.

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი სამეგრელოს უწარჩინებულესო შვილო, უგანათლებულესო თავადო!

რაღას ვუცდით? დავიწყოთ.

(წერილი ქუთაისიდგან).

ქუთაისის სათავად-აზნაურო სასწავლებელი გაფართოებას აპირებს, უნდა მისს უფროსს ძმას—ტფილისის სათავად-აზნაურო გიმნაზიას გაუსწორდეს. ამას წინად გამოცხადებული იყო: სააზნაურო სკოლის პედაგოგიურ რჩევის შუამდგომლობისამებრ, სამზრუნველო კომიტეტს გადაუწყვეტია, მეხუთე და მეექვსე კლასები მოუმატოს ჯერ-ჯერობით და მერმე სრულ გიმნაზიად გარდაიქმნასო.

ღმერთმა ინებოს, ეგ დიდის ხნიდგან აღძრული და სანუკარი სურვილი ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობას მალე ასრულებოდეს. მაშინ ცოტაოდნად მაინც დაუკმაყოფილდება სწავლის სურვილი, რომელსაც მთავრობის სასწავლებლები სანახევროდ და სამესამედოთაც ვერ უკლავენ.

სათავად-აზნაურო სასწავლებელი აქამომდეც უნდა გადიდებულიყო. ხუთი-ექვსი წელიწადი გადის აგერ და სააზნაური სკოლიდგან მთავრობის გიმნაზიასა და რეალურს სასწავლებელში მოსწავლე აღარ გადასულა. ვისაც ცოტაოდენი შეძლება ჰქონდა და ტფილისში თავის შენახვა არ უძნელდებოდა, ისევ ტფილისის სააზნაურო გიმნაზიაში თუ შოვობდა ადგილს სწავლის განსაგრძობად.

რა კი უმაღლესს კლასებში სწავლის განგრძობის იმედი ეკარგებოდათ მოსწავლეებს, სწავლის ხალისიც უსუსტდებოდათ და მარტო იმის ფიქრში იყვნენ, ოთხის კლასის ჯახირით დასრულების შემდეგ, რომელს ფოსტაში, ან რკინის გზის სადგურში ეშოვნათ მცირე მოხელის ადგილი.

მოსწავლეთა ამგვარი უიმედობა III და IV კლასებში სწავლის წარმატებას ძალიან აფერხებდა...

დიაღ, აქამომდე უნდა მოემატებოდა კლასები ქუთაისის საზნაურო პროგიმნაზიას, მაგრამ ამასაც ჩვენებური ჩვეულებრივი დიდი მიზეზი ეღობებოდა წინ: საზოგადოების მოწინავე დასს ახლა საერთო საქმისათვის თითქო არ ეცალა: ეგ დასი, ორ მეტოქ ჯგუფად გაყოფილი, ერთმანეთს მხოლოდ „ბანკობიისა“ და „მარშლობიის“ ასპარეზზედ აკლავდნენ თავს და ეგ ამოდენა ხნის თავ-პირის მტვრევა ისე გათავდა, თითქო პირადისა და არა საზოგადო ინტერესით ყოფილიყოს გამოწვეული. ეს გარემოება ყველა ჩვენს საქმეებს დაეტყო და მათთან ერთად სკოლასაც. პირადი საქმეები ყველასი კარგად წავიდა, საზოგადო საქმეები-კი ღმერთმა შეინახოს! ბრძოლის ფალავნები, ორიოდ-სამიოდეს გარდა, ყველანი თავ-თავისათვის თბილად და ტკბილად არიან დაბინავებული ბრძოლის დროს შეძენილს მამულებში; ზოგი მათგანი ასობით და ათასობით ითვლის ოქროებს კანტორებში და საზოგადო და საერო ჩვენი დაწესებულებანი უბინადრო მასწავლებელსავით კარ-და-კარ დაიარება (ბანკი და სკოლა): არც ერთს თვისი საკუთარი ბინა არა აქვს. ქუთაისის სხვა სკოლები, სასწავლებლები და დაწესებულებანი, ყველანი საკუთარს სადგომებში არიან მოთავსებულნი.

აი სწორედ ამიტომ, როცა სააზნაურო სკოლის სახლის აშენების შესახებ მქონია დაპირება, ვერასოდეს ვერ მომითმენია, რომ საყვედურია არ მომეხსენებინოს ის კაცნი, რომელნიც საზოგადოების ნდობით აღჭურვილნი იყვნენ და, რომელთაც 20 და 25 წლის წინად ერთი ათად უფრო ადვილად და იაფად შეეძლოთ სკოლისათვის ადგილის შეძენა და სახლის აშენებაც, მაგრამ ეს დიდი საქმე თავს არ იდვეს.

ახლაც ენას და კალამს მათდამი სასაყვედურო სიტყვები ებორკება, მაგრამ ჩვენის წერილის საგანი წარსულისადმი საყვედური-კი არა, მომავლის ტრფიალია.

ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თ. ლორთქიფანიძის პეტერბურგში ყოფნის შემდეგ, სრული იმედი მოგვეცა, რომ 440,000 მანეთი იმერეთის თავად-აზნაურობას უთუოდ დაუბრუნდება სწავლა-განათლების საჭიროებისათვის. ამას გარდა ჩვენს საზოგადოებაში ტრიალებს დიდი სურვილი სახლის აშენებისა და ამისათვის ფულის შემწირველნიც თანდათან ჩნდებიან.

თვალთ წინ მეხატება ვეებერთელა დარბაზი, რომელიც არა მარტო თვისის გარეგნობით მხიბლავს, არამედ უფრო მით, რომ შიგ ჩვენი ახალთაობა მეცნიერების შესაძენად თავს მოიყრის. აქ ჩვენს მოზარდს თაობას ისე შეზავებით და ზომისად ეძლევა ნაყოფიერი სასწავლო მასალა, რომ მოსწავლეს ყველა სულიერი ნიჭიერება ნორმალურად განუვითარდება: ჩაეწრება გულს და გონებაში შემოქმედებითი ძალა, რომლის მეოხებითაც თავის თავად შესძლებს სანატრელ მომავლისაკენ გზის გაკვლევას; თვალწინ მიდგას მეცნიერების ტაძარი, რომლის ასაშენებლად ჩვენის ერის ყველა წევრს თვისი წვლილი შეუტანია და ისე უფრთხილდება და შეჰხარის, როგორც თვისს ძვირფას ნაამაგარს პირმშოს. ეგ ტაძარი იქმნება შეერთებულის შრომის და ეროვნულის სულისწრაფვის ნაყოფი. ამ სახლისაკენ ვერავის ვერავინ ხელს ვერ წააწვდის, თუნდ ერთისკენჭის გამოსაცდელად, ვერავისი ღვარძლი ენა ვერ დაიძვრის მის სააუგოდ, რადგანაც ამ შენობის თავკიდეთა ლოდი ჩვენის საერთო გულის ქვა-კუთხეზე იქმნება დამყარებული.

ახლანდელ ეჭვიანობის დროს და ყოველს წამს იმედის გაცრუების შემხედვარე მკითხველი, ვიცი, ჩემს გატაცებას ჭერში ფრენად ჩამომართმევს და შეიძლება, ბევრი საბუთიც წარმოადგინოს, რომ ვოცნებობ: ვიცი, თავში გაუელვებს: ასიორასი წელიწადი გადის, რაც ქართველის ხელს საერთო შენობისათვის წერა ქვი და ქაფჩა არ აუღია ხელში და ახლა, ასრე უეცრად, როგორ შეიცვლება ასეთი ვითარება და საზნაურო სკოლისათვის სახლის შენებას ხელს როგორ მოჰკიდებსო?!

მე კი მაინც ვიმედოვნებ: თუ კი ოდესმე საერთო იდეას, სარწმუნოებრივი ყოფილა თუ პოლიტიკური და მოქალაქებრივი, ჩვენი ხალხი ერთს დროშის ქვეშ შეუკრებია, თუ კი ერთხელ შესძლებია ხორც-შესხმული სახსოვარი აგო თვისის გულისა, გონებისა და მიდრეკილების შესაბამი, ახლაც ვერ გასძლებს ისე, რომ დროის შესაფერს რწმენას და მიდრეკილებას შესაფერი თვალსაჩინო ძეგლი არ დაუდგას.

მაგრამ რა უნდა იქმნას ახლანდელ საერთო და

ფელეტონი

საოცარი დაუდევრობა

(საქართველოს კალენდარი 1903 წ. ვ. გუნიასი)

ქართველებს სამეცნიერო აკადემია არა გვაქვს. ვინ იცის, ამ უმაღლეს ბედნიერებას როდის მოვესწრებით. აკადემიის მაგიერობას აქნობამდე, შეძლებისა და გვარად, გვიწევდა ჩვენი სიმპატიური „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“. მართალია, ბევრი არა დაუბეჭდიარა უსაღსრობისა გამო, მაგრამ რაც დაუბეჭდია, დაუბეჭდია კარგად, სუფთად, თითქმის კოხტად. შინაარსი წიგნებისა მუდამ საყურადღებო ყოფილა; მზრუნველობა, პატრონობა, ხელი და „რედაქტორობა“ მუდამ ეტყობოდა.

სხვა მადლსა და სიკეთესთან ზემო აღნიშნული სიკეთეცა სჭირდა ჩვენს „საზოგადოებას“. ალბად ყველა ესაა მიზეზი, რომ ქართველს უყვარს თვისი „საზოგადოება“.

ვალერიან გუნიას „საქართველოს კალენდრისთვის“ საზოგადოებას თავისი სახელი მიუცია. მარტო ეს გარემოებაც საკმარისი იყო, რომ ქართველობას ხალისით შეეძინა წიგნი. ასეც მოჰხდა. იანვრის დასაწყისში 1500 ცალიდგან ასი აღარ იყო გაუყიდველი. სამწუხაროდ, მსყიდველნი დიდად მოსტყუვდით და „საზოგადოების“ სახელსაც მწიკვლი მოეცხო. რაღა მის მიერ დაბეჭდილი „საქართველოს კალენდარი“ და რაღა მდივანოვის ნაბღაჯნაჩიჩქნი წიგნაკები! კარგა ხანია აღარ გვინახავს ასე უშნო, ულაზათო და უგულოდ დაბეჭდილი წიგნი! ერთს კაბადონს ვერ იპოვნით ამ უშველებელს წიგნში,—512 კაბადონია,—რომელსაც ეტყობოდეს ვისიმე ხელი, ვისიმე მზრუნველობა, ფიქრი და აზრი! მკითხველის აბუჩად აგდება გაგვიგონია, მაგრამ არც ასეთი გადაჭარბება ვარგა... კორექტურული შეცდომა აუარებელია და სამაგალითოდაა დამახინჯებული სიტყვა—სახელნი. მაგ., არხიტექტორი სინოდალურ კანტორისა ასეა აღბეჭდილი: „ლეოპოლდ პეტრეს ძე ბლიფელდარდაზიანი“ (გვ. 248). ქორწინება, შეუღლება გაგვიგონია, მაგრამ ასეთი უცნაურისა-კი არაფერი. ორის პატივცემულის, ხანში შესულ მოხელის გვარი: ბილფელდისა და არდაზიანისა აუღია ბ-ნს ვ. გუნიას, შეუწებებია ერთად და მოგვიძღვნა სოცარის სახით: „ბლიფელდარდაზიანი!“ ასეთს ბუნების წინააღმდეგს შეწებებას თვით გ. ალიბეგოვიც ვერ მოახდენს თვის ქიმიურ ლაბორატორიაში. აქაოდა გერმანელებს მრავალ მარცლოვანი სიტყვანი უყვართო, განა იმიტომ გერმანელის გვარს ქართველისა ზედ უნდა მიეწებოს გასაგრძელებლად?

არც მეორე მაგალითია მოკლებული მნიშვნელობას. დაბეჭდილია (გვ. 273): „ბათომის ოლქი. სახედრო გუბერნატორის თანაშემწე“... აქ ისეთი შეცდომაა, რომ შესაძლებელია კაცმა სასამართლოს კარიც ახილოს. კიდევ კარგი, რომ ჩვენებურს ნაწერს უცხო ტომისანი ნაკლებად კითხულობენ.

დანარჩენს აღარ გამოვეკიდებით. მართალია, ბ-ნი ვ. გუნია ბოდიშს იხდის, სიჩქარისა გამო შეცდომები მოგვივიდაო, მაგრამ ბოდიში მოსატანი არ არის. ეს სრული უყურადღებობაა და მკითხველის აბუჩად აგდება. კარგი, ვალერიან გუნია ვერ გაუძლვა დიდსა და სამძიმო საქმესა, „წერა კითხვის საზოგადოების“, ანუ უკეთ ვსთქვათ, მისის მდივნის მზრუნველობა რაღაში გამოიხატა? არაფერში. გამოდის, რომ უხეიროდ შედგენილს და უფრო უხეიროდ დაბეჭდილს წიგნს თვისი კარგი „სახელი“ მისცა „საზოგადოებამ“. არ ეკადრებათ არც ვ. გუნიას და არც „სამეცნიერო აკადემიის“ მდივანს, რომ ასე უტეხენ სახელს ყოველ ქართველისთვის სანუკარს დაწესებულებას.

შინაარსზე რაღა მოგახსენოთ? კალენდრის შინაარსი ერთი დაუსრულებელი შეცდომაა, მდაბიურად რომ მოგახსენოთ, ერთი რაღაც ცხრა-წვენა, დომხალი და აბდა-უბდა. თვითოეულის განყოფილების განხილვის თავი არა გვაქვს. კიდეც რომ ვიკისროთ ეს უმადური და უნაყოფო შრომა, რომელი რედაქცია დაგვიბეჭდავს? აღვნიშნავთ რამდენსამე მაგალითს.

მოხსენებულია სომხური ენის ცენზორი ა. ი. ქიშმიშევი (გვ. 259). ამ გვარსა და სახელს წინ უზის ორი ასო: ს. ს., ესე იგი სტატსკი სოვეტნიკი. ასო დონი რაღა იქნა? ქიშმიშევი რამდენი ხანია რაც გენერალია ან სულ არ იყო საჭირო ჩინის აღნიშვნა, ან თუ საჭიროდ მიგაჩნია, სისწორით უნდა აღგენიშნა.

ნეტა რად აუთვალისწუნებია ბ-ნ გუნიას მესხეთი და ჯავახეთი, ვერ მივხვდით. ნუ თუ არ იცის ამ ქვეყნის არსებობა? ჩამოუთვლია ტფილისის გუბერნიის საბეგრო ინსპექტორები, ხოლო ახალციხისა გამოუტოვებია. რადა? ღმერთმა უწყის. ქართველებს ეტანება, ხშირად მარტო ქართველ მოხელეებს ასახელებს, ასე რომ შეიძლება მკითხველმა იფიქროს: ამა და ამ დაწესებულებაში მარტო ქართველები მსახურებენო, როგორც მაგალითად (გვერდი 259) საქმის მწარმოებლად აღნიშნულია ბერიძე და ლორთქიფანიძე ტფილისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა გამგეობაში,—და ახალქალაქის საბეგრო ინსპექტორი-კი მ. დ. კვალიაშვილი მიუფუჩეჩებია? არც ახალციხისა და ახალქალაქის სახაზინოებს იხსენიებს ავტორი, თუმცა ახალციხეს ქართველი ხაზინადარი ჰყავს—ი. ლაზარიშვილი. ყველა-ყველა და ე ტფილისის გუბერნიის ხაზინათა რიცხვში რა საბუთით ჩაურთო ზაქათალის ოლქის ხაზინა, სადაც მოლარედ თავადი თაქთაქიშვილია, არა სჩანს. წამატებით წაუმატა ავტორმა ერთი ხაზინა და დააკლო სამი: ახალციხისა, ახალქალაქისა და ბორჩალოსი. გახვრეტილ აბაზად არა ღირს ასეთი სტატისტიკა მოხელეთა და დაწესებულებათა.

კალენდრის შემდგენელს არავითარი სისტემა, წესი და რიგი არა აქვს დაცული. უწერია ისე ზეპირად და მცირედი შრომაც არ მიუღია სხვა-და-სხვა ცნობის დაწყობა-დალაგებაში. მაგალითად, (გვ. 265) საგლეხო საკრებულოს წევრნი ჩამოუთვლია უსახელოდ, მეოთხისთვის-კი უწყალობებია სახელი, აგრეთვე სეკრეტრისთვის. რაო ახლა, ე „სეკრეტარი“ მაქსიმე მისენკო რა წითელი კოჭია, რომ ეგ სახელით გამოსჭიმე და დ. ს.ს. ევგენი გუსტავის ძე ვეიდენბაუმი-კი უსახელოდ?

სხვაგანაც ასეა. ქალაქის გამგეობის წევრნი ასეა ჩამოთვლილნი: „თ. ვ. ი. (?) ჩერქეზიშვილი, ტიგრან ენფიანჯიანცი, კოჩაევი, სეკრეტარი სტეფანე თეოდორეს ძე ქრელაშვილი“. ნეტა კოჩაევმა რა დაუშავა ბ. გუნიას, რომ სახელიც არ აღირსა და სეკრეტარი-კი ასე გამოსჭიმა. ეტყობა, ბ-ნს გუნიას დიდად ჰყვარებია მდივანნი, თორემ ასე უპატივცემულოდ არ მოეპყრობოდა მათ უფროსებს. ისღა აკლდა, რომ ბ-ნ ქრელაშვილისთვის „სტეპკო“ დაეძახნა...

ცნობები ადამის ჟამის ხნისაა. შეუძლებელია მათი გამოყენება. ვინც-კი დაენდობა ბ-ნს გუნიას ცნობებს, უსათუოდ დიდი შეცდომა მოუვა. მაგ. დუშეთის მომრიგებელ შუა-კაცად ნაჩვენებია თ. ი ე. ერისთავი. აღარც-კი მახსოვს —როდის იყო თ. ერისთავი მოხელედ. მას შემდეგ მომრიგეობ-შუაკაცობდა დუშეთში თ. ნ. ჭავჭავაძე, შემდეგ განსვენებული თ. ვეზირიშვილი, დღეს-კი თ. ვაჩნაძე. მოდი და გამოიყენე ასეთი ცნობანი!

შეცდომების ამოწერა უნდა შევამოკლოთ, თორემ შორს წაგვიყვანს. ვიკმაროთ მცირედი. გერმანიაში ითვლებაო 56,345,000 მცხოვრები (გვ. 288), სადაც ესა სწერია, იქვეა მოხსენებული: პრუსია,—34,463,000, ბავარია—6,200,000 და სხვა წვრილმანი გერმანიის იმპერიის სახელმწიფონი. ავტორს უნდა ეთქვა: გერმანიის იმპერიაში ამდენი და ამდენია, მათ შორის პრუსიაში ამდენიო და სხვა. ეს ვერ მოუხერხებია და გამოდის, რომ გერმანია რაღაც ცალკე სახელმწიფოა და არა კრებული წვრილ-წვრილ გერმანელ ტომით დასახლებულ სახელმწიფოებისა. წიგნის 291 გვ. ბ-ნი გუნია ამბობს: 18,704,685 კვად. ვერსია რუსეთის იმპერიაში, 136 მილიონზე მეტი მცხოვრებით. მერმე ნაწილნაწილ განიხილავს იმპერიას, შეაერთებს ერთად ნაწილებს და დაბეჭდავს, რომ იმპერიას სივრცე აქვს 20,437,362,$_9$ კვად. ვერსი, მცხოვრებნი-კი 129,776,778. ნეტა როდის სტყუის ავტორი—პირველში, თუ მეორე შემთხვევაში?—ქართველები 3 მილიონნიაო, სომხები $1^1/_2$ მილიონიო. შემდეგ პროცენტებით იანგარიშებს. ქართველები $3^0/_0$-იაო, მაშასადამე სომხები პროცენტ ნახევარი უნდა

საერთო რწმენად მიჩნეული ქართველთათვის? უთუოდ ის, რაც დღეს ყოველს ხალხს უცვალებელ დოღმატად აქვს დასახული—ეროვნული სწავლა, გონივრულს მამულის შვილობაზედ დამყარებული. ვინ მოიძებნება ჩვენში ისეთი სულით ღლახაკი და გონებით მახინჯი, რომ ღრმად არ ადიარებდეს ეროვნულ სწავლის „მრწამსს“.

აი, ამ რწმენის ტაძარი უნდა ავაშენოთ ისე მტკიცედ, როგორც ჩვენთა წინაპართ უშენებიათ მცხეთა-გელათი, ეს დიდებულნი ძეგლნი, რომელნიც დღესაც ამტკიცებენ და ასულდგმულებენ ჩვენს ეროვნულს ვინაობას და რომელნიც საუკუნოების ქარ-ბუქს ჯერ კიდევ ვერ შეუმუსრავს.

მაგრამ რაც უნდა ღონივრად იყოს ხალხში რომელიმე სურვილი ფეხმოდგული, მაინც საჭიროა მისი განმახორციელებელი წინამორბედი და მოციქული, რომ საქმეს თავი უჩინოს. ჩვენი სააზნაურო სკოლის სახლის აშენების ახლანდელ მახარებლად, გარდა კირილე ლორთქიფანიძისა, რომელიც გამუდმებით და დაჟინებით ჰღაღადებდა ამ საქმის უაღრესს საჭიროებას, უნდა ჩავთვალოთ: ვ. ხვედელიანი, დონ ვალიანი, ართმელაძეები, ჩხოტუა და წერეთელი. ამათ შარშან „ცნობის ფურცელში“ გამოაცხადეს: ჩვენ ყურიმთავკარით, სამზრუნველო კომიტეტი სააზნაურო სკოლის სახლის ასაშენებლად შეწირულებას იღებსო და ჩვენც მზადა ვართ ამდენსა და ამდენი პროცენტი ჩვენის ჯამაგირისა ყოველ წლივ ჩავაბაროთ კომიტეტსაო, ოღონდ გამოცხადდეს წესი ფულის შეკრებისაო“. ეს ბატონები არც სწავლით, არც ნივთიერ საშუალებებით ჩვენის საზოგადოების ნასწავლ კაცებზედ მაღლა არა სდგანან, რომ ამ სიმაღლით ავხსნათ მათი აზრიანი და სამაგალითო გულუხვობა: ერთი მათგანი, ავალიანი სწერდა: ასს წელსაც რომ გაგრძელდეს სახლის შენება და მეც ამდენი ვიცოცხლო, არც ერთს წელიწადს აღთქმულს შესაწირავს არ მოვაკლებ სკოლასაო.

ზემოხსენებულმა კაცებმა გვითხრეს პირველად: მიიღეთ გულწრფელად ჩვენი მოძღვნილი წვლილი და შეიტანეთ სააზნაურო სკოლის საუნჯეშიო. არ გამოჩნდა კაცი, რომელსაც მადლობით ჩამოერთმია საერო შესაწირი და დაედო სათავედ ძვირფასის სამერმისო საგანძურისათვის.

ვის უნდა გაეწოდა ეს ხელი? ან წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობას, ან სამზრუნველო კომიტეტს, ან სააზნაურო სკოლის ღარიბ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოების გამგეობას.

მაგრამ, არც ერთმა ამ დაწესებულებამ ეს არ ინება. იქნებ იმიტომ, რომ ჯერ-ჯერობით ნაადრევად მიიჩნიეს? მაგრამ, განა კეთილის საქმის დაწყება და გაკეთება ნაადრევად უნდა ჩაითვალოს როდისმე?!

ზემორე ნათქვამიდან ცხადათ დაინახავს მკითხველი, რომ ერთის მხრივ საზოგადოებაში ტრიალებს საქმიანი სურვილი სააზნაურო სკოლის სახლის აშენებისა და, რომ შემწირველნი თანდათან ჩნდებიან, და მეორეს მხრივ, რომ 140,000 მანეთი სწავლის საჭიროებისათვის გვიბრუნდება, მაშ შენობის დაწყება შესაძლებელია; მაგრამ დამწყები და თავის მომბმელი არ გამოჩენილა დღემდე.

დროა შევუდგეთ სასკოლო სახლის აშენების სამზადისს. მივჰყვეთ ჩვენც ტფილისის თავადაზნაურთა მაგალითს; მართალია, ჯერ-ჯერობით ჩვენში არა სჩანს თავ-დადებული კაცი, როგორიც ბედმა ტფილისის სააზნაურო სასწავლებელს არგუნა, არც იმისთანა უხვნი და შეძლებულნი ქველმოქმედნი, როგორნიც იმ სკოლას აღმოუჩნდნენ, მაგრამ ასეთმა გარემოებამ იმედი საქმის დასრულებისა მაინც არ უნდა წაგვართვას.

მაშ დავიწყოთ დღეიდგან ქველმოქმედთა პატიოსნის ძღვენის ჩამორთმევა სკოლის სახლის საძირკვლის ჩასაყრელად. ავირჩიოთ სახლის ამშენებელი კომიტეტი, რომელიც, ჩემის აზრით, უნდა შესდგეს შვიდის კაცისაგან. მათ შორის უნდა იყვნენ: ქუთ. გუბ. თავად-აზნაურთა წინამძღოლი, სკოლის ინსპექტორი, ერთი პედაგოგიურ რჩევის წევრთაგანი, ერთი სამზრუნველო კომიტეტის წევრი და ერთიც ღარიბ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოების გამგეობისა, დანარჩენი ორი—გარეშე საზოგადოების საპატიო კაცთაგანი. პირველად სკოლის ინსპექტორმა უნდა მოიწვიოს ზემოხსენებული მარშალი და წევრნი, რომელნიც შეერთებულს კრებაზედ აირჩევენ საამშენებლო კომიტეტის წევრებს და შესდგენ კომიტეტის მოქმედების სახელმძღვანელო-პროექტი.

ჩემის აზრით, კომიტეტის პირველი საზრუნველი იქნება სახლის ასაშენებელ ადგილის მოძებნა.

რა-კი შუა ქალაქში აღარ მოიპოვება სასკოლო სახლისათვის ფართო ადგილი, ისევ განაპირებზედ უნდა ვეძიოთ. ასეთ ადგილებად ჩაითვლება ბ-ნთ ივ. და ნ. ჯაიანების ადგილი, სადაც ამ ჟამად სააზნაურო სკოლაა მოთავსებული, ლევაშოვის ქუჩაზედ, ვიტუშინსკისეული ადგილი ტფილისის ქუჩაზედ, რომელზედაც სასულიერო სემინარიის სახლი უნდა აშენებულიყო, მაგრამ, რაღაც მიზეზის გამო, ამას სხვა ადგილი ამჯობინეს-კახიანოურში, ბალახვანის ქუჩაზე, ადგილი მაჭავარიანისა 1000 ოთხკუთხი საჟენი და სიღაზე ბ-ნ მდივნისა და პეტრიაშვილის ადგილები. ამათგან პირველს ორს ის წუნი სდევს, რომ ვითომც დიდის შენობისათვის მყარი ნიადაგი არა აქვსო, მესამე, სიმცირით თუ არ დაიწუნეს, და სამ ხარზე კია, და მეოთხეს არც ერთი ეს ნაკლულევანება არა სჭირს, გარდა იმისა, რომ სიღაზეა, და ეს მხარე, ჯერ ჯერობით ისე პატივდებული არ არის, როგორც „ძველი“ ქუთაისი.

რაღას ვუცდით? დავიწყოთ.

Amicus.

ჩვენებური ამბები

ზედა-შავრი (რაჭა). ყველამ იცის, რომ რაჭაში ფრიად მშრომელი ხალხია. მაგრამ რა ჰქნას შრომამ, თუ ადგილის სივიწროვე ხელს არ მოუწყობს მშრომელ კაცს! წყალი რაც უნდა ნაყო, ისევ წყალი იქნება. სწორეთ ასეა აქაც. გაზაფხულიდან შემოდგომამდე რაჭველები შრომობენ თავგანწირვით აქვე, რაჭაში დ ზამთრობით-კი მიდიან სხვადასხვა ქალაქებში სამუშაოდ. ძვირათა ნახავ რაჭაში იმისთანა ბავშვს, რო ის ქალაქში არა ყოფილიყოს საშრომოდ წასული. კაცი, ქალი და ბავშვი—ყველა მონაწილეობას იღებს შრომაში და მაინც ძლიერ ღარიბათ ცხოვრობენ. სწორეთ ასე გაგრძელდება მათი ცხოვრება, თუ ისინი არ ეცდებიან, რაც შეიძლება, ბევრი სასწავლებლები დაიარსონ და მეტი სწავლა-განათლება მიიღონ; სწავლას შეუძლია ცხოვრების გაუმჯობესება.

დანიელ რაზმაძე.

სუხუმიდან დეპეშით გვწერენ, რომ 5 თებერვალს აქაურ ქართველთა თაოსნობით გადახდილ იქმნა საკათედრო ტაძარში პანაშვიდი სამეგრელოს მთავრად ნამყოფის უგანათლებულესის თავადის მინგრელსკის სულის მოსახსენებლად, საზოგადოება მრავლად დაესწრო.

სოხუმიდანვე გვატყობინებენ, რომ იქაურ ქართველობას მიუმართავს ორს თებერვალს ადგილობრივ მღვდლის გ—თვის და უთხოვიათ განსვენებულ უკანასკნელ მთავრად ნამყოფის ნიკოლოზ დავითის ძის სულის მოსახსენებლად პანაშვიდი გადაგვიხადეთო, მაგრამ მღვდლს უარი უთქვამს, დღეს ეკკლესიის წესის ძალით პანაშვიდის გადახდა არ შეიძლებაო. ეს გარემოება ძრიელ გვაკვირვებს, რადა მინგრელსკის სულის მოსახსენებლად არ შეიძლებოდა პანაშვიდი, მაშინ როდესაც ქუთაისში იმერეთის ეპისკოპოსმა და სხვა სასულიერო წოდებამ განსვენებულს კიევის მიტროპოლიტს დიდის ამბით გადაუხადეს პანაშვიდი!

რეხა. (ბორჩ. მაზ.) ქართულად ერთი ანდაზაა ნათქვამი, რომ უბედურს კაცს ქვა აღმართში მოეწევაო. ეს ანდაზა სწორედ რეხელ ქართველებზედ არის გამოთქმული. ამ უბედურებს ისე გაეპარათ იანვრის თვე, რომ ერთს ამინდიანს დღეს ვერ ეღირსნენ. ახალი წელი ეწვიათ ამათ, საშინელი ქარ-ბუქებით, ნამქერით და აუტანელი ყინვა-სიცივეებით. მთელი სოფელი თოვლის ქვეშ დამარხულია, მისასვლელ-მოსასვლელი გზები თოვლის მთებით არის შეკრული. მცხოვრებნი დიდს გაჭირვებაში არიან, წისქვილები გაყინულია, ვერ დაუფქავთ, ვერ გამოუცხვიათ. რეხელებს ბედი ხელს არ უმართავს, მაგრამ ჯოჯოხეთურ ცხოვრებას უმკლავდებიან. შიმშილით რომ იწვრთნებიან საბრალო რეხელები, ეს ხომ ღმერთმაც იცის და კაცმაცა, მაგრამ შიმშილს წყლის სიძვირეც ზედ ერთოდა, რადგან პატარა მდინარე წყლები ამ ჟამად გაყინულნი არიან. ყველა მეკომურის სახლში ღამე და დღე ბნელა, რადგან ბანებში დატანებული პატარა ფანჯრის მინები ნამქერისაგან დაფარულნი არიან და სახლის პატრონებმა ასჯერ რომ მოაშორონ დღეში მიყრილი თოვლი მინებსა, იმათი ჯაფა ამაოდ ჩაივლის, რადგანაც ნამქერი თავის ცელქობას არ იშლის. მოხუცებულნი ამბობენ, რომ ამ გვარი ზამთარი ჩვენ სიცოცხლეში არ გვინახავსო. ყველაზედ შესაბრალისნი სკოლის მოსწავლე შეგირდებია. ხანდახან მასწავლებელს თავის შეგირდები ნახევარზედ მეტი თოვლიდამ ამოსაყვანი უხდება, მეტადრე, როდესაც ძრიელი ნამქერია.

ე. ლომიძე.

ყულევი. აქაურ მოვაჭრის ა. სიჭინავას დუქანში 11 იანვარს, ნაშუადღევის მესამე საათზე თოფით ხელში შევიდა ერთი რუსი, გვარად ხარიევი და დაიწყო სმა, დაბინდებამდე. რიგიანად გაჟენთილი, წამოდგა საჯდომიდან და იქვე მდგომს მოსამსახურე ხორავას, დუქნის პატრონის დის ერთშვილს, მიმართა: „ნაბადი ჩემი! ნაბადი!“ როცა ბიჭმა უთხრა, დუქანში ნაბადი არ შემოგიტანიაო. აღრიალდა ხორიევი, მოისვა ხელი თოფზე, რომელიც თურმე გატენილი იყო „კარტეჩით“ და დაუმიზნა უბედურს ბიჭს; მიბრუნდა საცოდავი და გაიქცა, გამოუდგა უკან და, დასცა თოფი თეძოს თავის ცოტა ზემოთ! გაიშხლართა იატაკზედ, სიმხეცის, „ალკოგოლიზმის“ უდანაშაულო მსხვერპლი.

ქალაქის მეთვალყურემ მიიღო ჯეროვანი განკარგულება: დააპატიმრა მკვლელი და დაწვრილებით აცნობა საქმის გარემოება ბოქაულს.—ცამეტს, თუ თოთხმეტს მოვიდა ბოქაული, მოახდინა გამოძიება, დაადგინა ოქმი, მოწმების ხელ-მოწერილი და გაათავისუფლა პატიმარი თავმდებით.

ბავშვმა უექიმოდ დღემდე გასძლო და დღეს-კი მიაბარა სული უფალს.

ავდრებია. თოვლიც იყო, მარა სულ სამოთხს დღეს შემდეგ ხშირი წვიმებია—გზები ერთობ გაფუჭებულია. ჩვენში არჩევნები დასრულდა. ამოირჩიეს დეპუტატებად ისევ ძველები: თ. ფიფია და თომა თირქია. გასაკეთებელი მრავალი აქვთ და ღმერთმან ჰქნას ყველა გააკეთონ.

ხაკო უჩარდია.

რიონ-ჟალმის კუთხიდგან. ბევრგვარ ცრუმორწმუნოებას აქვს მაგრად ფეხი მოკიდებული ჩვენს სოფლებში: ამას წინად ს. ტობანიერის სასწავლებლის ჭიშკართან მოვიდა ერთი გლეხი და თან მოიტანა ხელსახოცში გამოკრული ღომის მარცვალი; მოსწავლეებში გამოძებნა სამი ბავშვი, რომელთაც სახელად ერქვათ სამივეს გიორგი; გახსნა ხელსახოცი, აარევია ხელი სამივეს ღომში და წაიღო სახლში. შემდეგ გამოვიკითხე, ეს რა ჩვეულებაა და ამიხსნეს: როდესაც ვინმე გახდება სოფელში ავად სახადის მსგავსი ავადმყოფობით, იტყვიან უჟმური ჰყავნდაო; მაშინ ღომის ანუ პურის მარცვალში აარევინებენ ხელს სამს გიორგის და სამს მარიამს, მერმე მიაქვთ გამომლოცველ დედა-კაცთან, რომელიც გამოულოცავს: „სახელი სახელითა, მამითა ღვთითა, ძითა სულითა, სული წმინდითა, შავი კაცი მიდიოდა, შავი კლდიდგან გამოსული; შავ ჯორიანი, შავ ნაბდიანი, შავ წანდიანი, შავ პაიჭიანი, შემოხვდა მიქელ-გაბრიელ მთავარ-ანგელოზი.

— სად მიხვალ შენ შავო კაცო?

— მე როგორ, სად მივალ; ადამიანის შვილის ტანში, უფერულის ფერმისაცემად, ფერიანის ფერ დასაკარგავად.

— სადაც იყოს უფლის ბრძანება, იქ არა ნება შენია, სადაც არ იყოს უფლის ბრძანება, იქაა ნება შენია. დასწყევლოს სამას სამოცდა ხუთმა გიორგიმ“.

შემდეგ ამ გამონალოც მარცვალს ჩაჰყრიან უხმარ ქოთანში, მოხარშავენ, დაასხამენ გობზედ და თან ქოთანს დაამხობენ ზედ. რასაკვირველია, ორთქლი დაიჭერს ქოთანს, მაშინ დარწმუნდებიან, რომ ნამდვილი უჟმური ჰყოლიაო. მერმედ გადაადნობენ ტყვიას და ჩაასხამენ გობში ამ ნახარშში; თუ გაკეთდა ტყვიიდგან რაღაც გველის თავის მსგავსი, იტყვიან მამალი უჟმურია და ძნელი მოსარჩენიაო და თუ გაიფანტა ტყვია და არ დაემსგავსა გველის თავს, მაშინ უფრო იმედია ავადმყოფის მორჩენაო. გობს გადააყუდებენ ავადმყოფს, ზევიდან საბნებს წაახურავენ და უხრჩოლებენ ცხვირპირში ამ ნახარშს. შემდეგ მიაქვთ ეს ნახარში და მიასხამენ ნიგვზის ძირში, თან იქვე მიწაში მარხავენ წმინდა სანთლისგან გაკეთებულს, ვითომ და კაცის სახეს. ქოთანი გამომლოცველს ეკუთნის, აგრეთვე სხვა საჩუქარიც. გამომლოცველს დიდი პატივისცემა აქვს სოფელში და ბევრიც ამით ინახავს თავს. გამოლოცვა სხვა და-სხვა გვარად იციან. რა ქნას ოჯახის უფროსმა კაცმა! თუ არ გაუგონა ქალებს, ვაი მის დღეს, თუ რამ გაუჭირდა ავადმყოფს, მერმედ ამას დააბრალებენ, ისევ ძალაუნებურად უნდა დამორჩილოს მათ.

ვლადო ბზვანელი.

დაბლა-ლილიკაური (შორაპნის მაზრა) სოფელი დაბლა-ლილიკაური ჩრდილოეთ-აღმოსავლეთისკენ უძევს დაბა ყვირილას 8 ვერსის მანძილზედ, რომელიც თავის მეზობელ სოფლებს არ ჩამოუვარდება ღვინისა და სიმინდის მოსავლით; ხილიც აქ საკმაოდ იცის, პურის თესვას-კი სრულიადაც არ მისდევენ, თორემ შეიძლება პურის მოსავალმაც ივარგოს; ხე-ტყე დაბლა—ლილიკაურში მეტად ძვირია და ამიტომ დაბლა—ლილიკაურლები ზედა—ლილიკაურის ხე—ტყით და შეშით სარგებლობენ, თუმცა, როგორც ეტყობა, ორი სამი წლის შემდეგ ზედა—ლილიკაურლებსაც შემოელევათ ხე—ტყე და ისინიც იძულებული გახდებიან გარეშე სოფლებში დაიწყონ შეშის ყიდვა. ამნაირად დაბლა—ლილიკაურის მცხოვრებლები დიდ გაჭირვებაში არიან ჩავარდნილი უშეშობით. რაც შეეხება სწავლა—განათლებას, ამ მხრით დაბლა—ლილიკაური ბევრათ არ არის ჩამორჩენილი თავის მეზობელ სოფლებზედ. აქ არსებობს ერთკლასიანი საეკკლესიო სამრევლო სკოლა. ჯერ კიდევ აქაურებს, განსაკუთრებით გლეხებს, კარგად არა აქვსთ შეგნებული, თუ რა სასარგებლოა ჩვენთვის სწავლა—განათლება; ამისათვის სკოლას ჯერჯერობით ვერ არის დაყენებული სასურველ ნიადაგზედ. იმედია, მალე შეიგნებენ აქაურები სწავლა—განათლების მნიშვნელობას, შეძლებისა და გვარად ხელს შეუწყობენ სკოლას და გულ-მხურვალედ იზრუნებენ თავიანთი შვილების საკეთილ-დღეოდ.

რადგანაც დაბლა—ლილიკაურს მაღალი მდებარეობა აქვს, ზამთარი აქ მეტათ დიდი და ხანგრძლივი იცის; წელს მაინც იანვრის პირველი რიცხვებიდგან დამოკიდებული სულ განუწყვეტლივ სთოვს და მეტად დიდი თოვლი მოვიდა, ორ არშინ ნახევრამდე. მცხოვრებლები ძალიან შეშინებული, დიდ გაჭირვებაში არიან: სახლები თოვლს ვეღარ იმაგრებენ, ზოგს კიდეც ჩამოენგრა სახლის სახურავი, გზები დაკეტილია, სკოლებში სწავლა შეჩერებულია, აგრეთვე საწისქვილო და წყლის გზები დაკეტა, უთხილამუროდ გარედ ვერ გამოდიან. 1896 წლის გარდა ასეთი დიდი ზამთარი და თოვლი ლილიკაურლებს თითქმის არ ახსოვსთ და, რადგანაც წელს ასეთ დიდ ზამთარს არ ელოდენ, შეშა საკმაოდ არ დაემზადებიათ და თურმე ხეხილები და საჩრდილობელი ხეები ჰქონდათ ეზოებში და გარემოებში მთლად სჭრიან შეშათ, აგრეთვე არღვევენ ღობეებს.

აქ მეტათ გავრცელებულია სიცივისაგან შემდგარი სხვა-და-სხვა ავადმყოფობა და, განსაკუთრებით-კი, ელდჭირვება, ყბა-ყურა და ბატონები. ექიმი და ფელშერი აქ არსად იშოვება, თუ დაბა ყვირილიდგან საგულდაგულოდ არ მოიწვიეს, მაგრამ მათი შოვნა და მოყვანა იაფად არ უჯდება აქაურებს... და ამიტომ, ვისაც შეძლება არა აქვს, ისინი უექიმოდ ჯახირობენ და ძალაუნებურად უვარდებიან ხელში სოფლის მკითხავებს და გამომლოცავ დედაკაცებს, რომელთა წყალობით და რჩევით ბევრი უდროვოდ ესალმება წუთისოფელს.

არ იქნება ურიგო, ვისიც ჯერ არს, ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას და თვითოეულ სოფლის სამმასახლისოში თითო გამოცდილი ფელშერი იყოლიონ.

მღ. ბ. ვაშაძე.

ზემო-თიანეთი შესდგება 13 სოფლებისაგან. მცხოვრებლები 346 კომლზედ მეტი ითვლება. ხალხი ხვნა თესვას მისდევს. აქაური მიწები ძალიან დალახულია წვიმების ნაკადულებით. აქაური სიმდიდრე და შემოსავალი მარტო პური და ქერია და მცხოვრებლნი საქონლის მოშენებას მისდევენ. ჭირნახული მხოლოდ კარგ მოსავლიან წელიწადს მოსდით სამეოთხი. რადგან სახნავი მიწა ნაკლებათ არის, ისიც უვარგისი, ბევრს 4—5 თვის სარჩო ძლივს მოსდის. აქ არსებობს სოფლის სამმართველო, სადაც დაზარალებული გლეხი სამართალს უნდა ეძებდეს, მაგრამ აქაური მწერლის მეოხებით ხალხი უფრო გადაეკიდა ერთმანეთს. ამ მოქნილმა მწერალმა ლამის ტყავი გააძროს მთელ ზემოთიანეთის საზოგადოებას. აგერ ერთი წელია, რაც ეს ვაჟბატონი ამ საზოგადოებაში მწერლობს და მეტად შეაწუხა აქაური სოფლელები. ერთი ოინი უყო აქაურ გლეხებს: ერთი წლის თავის ჯამაგირს ნაცვლებს და გზირებს აგროვინებდა და მიღების „კვიტანციას“ არ აძლევდა, „ეხლა რათ გინდათ, მერე დაგიწერთო“; და ეხლა ეს ვაჟბატონი თიანეთის მომრიგებელ სასამართლოში საზოგადოებას უჩივის 24 თუმანს, რომელიც უკვე მიღებული აქვს. ეს კიდევ არ აკმარა აქაურებს: სოფლის სამმართველოდგან დავთრები წამოიღო და თიანეთის მიკიტნის დუქნებში დაუგირავებიაო. ეს ვაჟბატონი ჯერ თიანეთის სკოლაში სწავლობდა და შემდეგ თელავის საპყრობილეში შეისწავლა რაც აცოდა.

თიანეთელები სწავლა განათლებით ძალიან ჩამორჩენილნი და დაქვეითებულნი არიან თუმცა თიანეთში არსებობს ორ კლასიანი სასწავლებელი, მაგრამ მასში აქაურები, სიშორის გამო, იშვიათად ასწავლიან თავიანთ შვილებს და მთელ საზოგადოებაში წერა კითხვის მცოდნე ათი კაცი ძლივს მოიპოვება.

დათიკო გოჯიაშვილი.

უცხოეთი

შეერთებული შტატები. ევროპაში სახელმწიფოს მართვა გამგეობა ხალხის წარმომადგენლების ხელშია, რასაც პარლამენტარიზმი ეწოდება. საფრანგეთში ხალხის წარმომადგენელთა (დეპუტატთა) კრებას ჰქვია პალატა პარლამენტი, გერმანიაში—რეიხსტაგი, ინგლისში—ლორდთა და სათემო პალატა. მაგრამ არც ერთი ევროპის პარლამენტი ამერი

იყვეს. არა, ვალერიან გუნიას სტატისტიკით სომხები $2^0/_0$ გამოდის. რადა?

მეთერთმეტე განყოფილებაში ბ-ნი გუნია მიიხსენიებს გუბერნია-ოლქებსა და სრულიად მიულოდნელად „შეჰქმნის“ ახალს, რიცხვით მერვე გუბერნიას—ზაქათლისას (გვ. 299). დარწმუნებული ვარ, რომ ასეთი ტყუილი ჯერ არც ერთს კალენდარს არ დაუბეჭდია მას შემდეგ, რაც კალენდრები სტყუიან. ტყუილს ვინა სჩივის, ასეთი შეუფერებელ, აშკარა უვიცობის გასაღება „წ. კ. საზოგადოების“ სახელით მიუტევებელი ცოდვაა და ვგონებ უნდა ჩამოერთვას უფლება ბ-ნს გუნიას კალენდრის შედგენა-დაბეჭვდისა.— ნეტა ამ პტკნარ უვიცობაზე მაინც გაჩერებულიყო! მესამასე გვერდზე ახლად გამოჩეკილი გუბერნია ოლქად გადანათლა! განა ეს იწილო-ბიწილო არ არის, განა ეს ლიტერატურული შრომაა?! კიდევ ჩვენი ბედი, რომ ჩვენს მეტი არავინ წაიკითხავს, თორემ სირცხვილით თავი მოგვეჭრებოდა...

308 გვერდზე ასეთი ფრაზაა დაბეჭდილი: „ბორჩალოს მაზრაში სამაზრო ქალაქად ითვლება დაბა შულავერი“. სოფელი შულავერი სამაზრო ქალაქად რანაირად ითვლება, ალბად, ეს კალენდრის შემდგენლის საიდუმლო იქნება. თიანეთიც გააქალაქა. ამის მეტი რა გვეთქმის: ნეტა იმას, ვინც ამ გვარი ცნობებით ისარგებლებს!

ჯავახეთის ახალქალაქში 5,400 სულიაო, მათ შორის $^1/_3$ ქართველები, $^2/_3$-ზე ცოტა ნაკლებს სომხები შეადგენენ, დანარჩენი თათრები და რუსებიაო. ეს ცნობანი ხომ ხალასი ტყუილია, მაგრამ არ მავვირვებს, შევეჩვიე. მხოლოდ ის მაინტერესებს—საიდგან იშოვა ბ-ნმა გუნიამ ეს არ არსებული ციფრნი? ძველ „კავკასიის კალენდრებში“ არ არის და რომელ წყაროდგან ამოწრუპა ეს სიმართლეს მოკლებული ამბები? ქ. ახალქალაქი წმინდა სომხების ქალაქია; აქ მკვიდრად არც რუსია, არც თათარი და არც ქართველი. ერთი ქართველი მეწისქვილე გახლდა და იმანაც თქვენი ჭირი წაიღო; არიან კიდევ რამდენიმე მოხელენი ქართლ-იმერეთიდგან მოსულნი.

ესაა სულ ქ. ახალქალაქის ქართველობა. ეს ორიოდე მოხელე ქართველი განა 5,400-ის მესამედია? ღმერთმა გვამრავლოს, თქვენის წყალობით, ბ-ნო ვალერიან! კონდრატენკოს კალენდარში ასეა: „Ахалкалаки, уѣзд. г. тиф. г. арм. 5443“. ვინ მიხვდება, აქედგან როგორ გამოიჩიკა $^1/_3$ ქართველობა, ბ-ნ გუნიას გარდა! ამ გამოცანას იგივე კონდრატენკო აგვიხსნის. მოგეხსენებათ, რომ ქართლში არის ს. ახალქალაქი, სადაც ბინადრობენ: გრუზინსკიანი, თარხნიშვილნი, ქართველი გლეხ-კაცობა და სომხობა. კონდრატენკოს ასე აქვს აღნუსხული ეს სოფელი: „Ахалкалаки. тиф. губ. (горійскаго уѣзда) арм. 2333“. (იხ, Кавк. кал. 1899 и 1901 г.г. стр. 4) ალბად, ბ-ნ გუნიას გული მოსვლია. რაკი ელისეი კონდრატენკომ სოფელი ახალქალაქი ჩამოგვართვა და სომხებს უწყალობა, ადგადა სომხებს მთელი მესამედი ქ. ახალქალაქისა წაართვა და ჩვენ გვიფეშქაშა.— რატომ, ესეც კაი წყალობაა.

რაკი ბ-ნი გუნია ამ გუნებაზე მოსულა, ამდგარა და ახალციხეც წაურთმევია სომხებისთვის. ნახევარი მკვიდრთა ქართველობააო, ბრძანებს ბ-ნი გუნია. საერთო რიცხვი ამ ქალაქის მკვიდრთა ნაჩვენებია 17,500 სულად, მაშასადამე, ქართველობა თითქმის 9,000 უნდა იყვეს ახალციხეს. ამდენი ქართველობა ძლივ-ძლიობით მოიპოვება სრულიად ორ მაზრაში: ახალციხისა და ახალქალაქისაში, ბ-ნმა გუნიამკი ერთ ქალაქში მოათავსა.

უშველებელი კალენდრის შედგენა ხაჭაპურის გამოცხობა, ან ლობიოს მოხარშვა ხომ არ არის; შრომა უნდა, ცოდნის შეძენა, საქმიანობა... თუ თქვენ, ბ-ნო გუნია, მოცალეობა და დრო არა გაქვთ, ან „მდივანი“ ვერა მდივნობს, უნდა მოიწვიოთ მცოდნე კაცნი, სასყიდელი გაიღოთ და მხოლოდ მაშინ გამოხვალთ პირნათლად ქვეყნის წინაშე, ბევრი უსასყიდლოდაც დაგეხმარებათ, თორემ აბა რასა ჰგავს ეხლანდელი თქვენი „ნამუშავარი“? სწორედ რომ ხელში არ აიღება და წყალში გადასაგდებია.

კალენდრის 315 გვერდზე ნათქვამია, რომ „კომლის ხარჯი“ ამდენსა და ამდენს შეადგენსო. ეს მესამე წელიწადია, რაც საკომლო ხარჯი მოისპო. ეს ამბავი მთელმა რუსეთმა შეიტყო, და ნუ თუ მარტო „ნარედაკტორალმა“ არ უნდა იცოდეს ისა, რაც ქვეყანამ იცის?

სრული და რიგიანი კალენდარი რომ საჭიროა, დამტკიცდა იმითი, რომ 1500 ცალი ერთის თვის განმავლობაში დაიტაცეს. ჩემი გულწრფელი რჩევა ისაა, თუ შემდეგისთვისაც მოინდომებთ მის დაბეჭდვას, მცოდნე კაცებს მიჰმართოთ, თითო განყოფილება სპეციალისტს ჩააბაროთ და ასე შეერთებული კოლლექტიური ნაშრომი მიუძღვნათ მკითხველს, რომელიც, ღრმად დარწმუნებული ვარ, დიდის ხალისით მიეგებება კარგს წიგნს და თვისის თანაგრძნობით მოგცემთ შეძლებას განაგრძოთ სასარგებლო მუშაობა.

ა—ლი.

კისას ვერ შეედრება. ამერიკის კონგრესი ყველაზე უფრო დემოკრატიული დაწესებულებაა არა მარტო ევროპაში, არამედ თვით შეერთებულ შტატებშიაც-კი. კონგრესზე კრების დროს ყველას შეუძლია დაესწროს, არ აქცევენ ყურადღებას არც ხნოვანებას, არც სქესს არც ტანისამოსს და არც სხვა რამეს. მილიონერი და მატანტალა, მდიდარი და ღარიბი, თეთრ-კანიანი და შავ-კანიანი ერთად შედის კონგრესის დარბაზში და სადაც თავისუფალ ადგილს დაინახვენ იქ დასხდებიან. არავითარი პროტექცია არ არის საჭირო პარლამენტში შესასვლელად, პოლიციელი არ გიხვდება კარებზედ და ეჭვის თვალით არ გიყურებს, როგორც სხვაგანაა. თავისუფლების მხრივ ხომ უკეთესის წარმოდგენაც-კი შეუძლებელია. პარლამენტის დარბაზი დიდი უზარმაზარია. შუაზე ზის პრეზიდენტი, გარშემო ირგვლივ შემომსხდარან დეპუტატები—რესპუბლიკანელნი მარცხნივ სხედან, დემოკრატები—მარჯვნივ. თვითოეული დეპუტატის წინ სტოლი სდგას საწერელით და ქაღალდით. პარლამენტის კრების დროს დეპუტატთა სკამები ყვავილებითაა მორთული. გარეშე მაყურებელთავის მაყურებელი საზოგადოების მდგომარეობაა საინტერესო. ინგლისელი ჟურნალისტი აი რას ამბობს ამის შესახებ: სამი წლის წინად დავესწარი კონგრესის კრებას. აქ იყო ერთი დეპუტატი, რომელსაც სამი ცოლი ჰყავდა. გაეგოთ ეს ქალებს და სამი ათასამდე მოეყარათ თავი რომ დაეგმოთ და გაეკიცხათ სამ ცოლიანი დეპუტატის საქციელი. მართლაც, როცა კი ეს სამ ცოლიანი დეპუტატი დაიწყებდა ლაპარაკს მთელ დარბაზში გაისმოდა ქალების, საშინელი ყვირილი და ვაი უშველებელი: ძირს სამ ცოლიანი დეპუტატიო.

დარბაზში ერთი თამბაქოს საწევი ოთახია, მეორე სადალაქო. როცა დალაქი მოცლილია, სდგას კარებზე თავის ხალათში, უყურებს სიტყვებს, ხუმრობას, დასცინის კიდეც ამა თუ იმ დეპუტატს ხმა მაღლა, აშკარად.

მამებს თავის შვილებიც თან მოუყვანიათ პარლამენტში და მუხლებზე დაუსვამთ. ავლენ ხანდახან ბავშვები სკამის მისაწოლზე და იყურებიან აქეთ იქით დეპუტატებისკენ. ბავშვებს არავინ ეწინააღმდეგება. ბავშვებიც ბაძავენ დიდებს სადეპუტატო ფიცის მიღების დროს, დგებიან სკამზე და აქნევენ ხელს იქით აქეთ, თითქოს ისინიც ფიცულობდენ. საზოგადოება-კი იცინის, აღფრთოვანებულია.

ორატორს ძლიერი ხმა უნდა ჰქონდეს, რომ შესძლოს მთელი საზოგადოების ყურადღება მიიქციოს. თუ ორატორის სიტყვა ძლიერ საინტერესოა, თვით დეპუტატებიც სტოვებენ თავიანთ საჯდომს და ახლოს მიდიან ორატორთან. ყველა თავისუფლად გრძნობს თავს, კრებას დღესასწაულის ხასიათი სრულებით არა აქვს. მიუხედავად ამისა, არსად ისე სხვა და-სხვა საკითხები ხალხის სასარგებლოდ არ წყდება, როგორც ამერიკაში...

ბოსტანი და ბოსტნეულობა

I. მცენარე, ჰაერი და მიწა.

მცენარის მეორე მასაზრდოებელი ბინა, სადაც მოთავსებულია ძირები, ზეადაგია. ზეადაგში და ნიადაგში იმყოფება აუარებელი მინერალური ნივთიერებანი; ზოგი მათგანი ძალიან ცოტად არის გახსნილი წყალში, ან მტვრად ქცეულია ისე, რომ ადვილად გაიხსნება წყალში და ადვილად შესათვისებელია მცენარისათვის; უმეტესი ნაწილი-კი ისეთი მაგარია, რომ მცენარე ვერ შეითვისებს დაუშლელად. ეს მასალა წარმოადგენს ფონდს, ან კაპიტალს, რომლიდგანაც ჰაერის, ნოტიოს, სითბო-სიცივისა და სხვა მიზეზების ზედ-მოქმედებით რაოდენიმე ნაწილი მცენარეებისათვის გამოუდეგარ მდგომარეობიდგან იქცევა ადვილად მოსახმარებელ ნაწილად.

მაშასადამე, თუ ზეადაგში თავისუფლად არ ჩავიდა წყალი ან ჰაერი; თუ მაგარ მინერალურ ნივთიერებაზედ კარგად არ იმოქმედა სითბო-სიცივემ,—მინერალური ნივთიერება არ დაიშლება, მცენარისთვის გამოუდეგარი დარჩება; მაშასადამე მოსავალსაც ან ცოტას ან და სულ ვერ მივიღებთ. ასეთი მოუსავლობა მეტადრე მაშინ გვეწვევა, როდესაც ერთსა და იმავე ადგილზედ მუდამ ითესება ერთი და იგივე მცენარის თესლი, როგორც მაგ. ქუთაისის გუბერნიაში სიმინდი. ან როდესაც ერთს ადგილზედ დიდხანს აკეთებენ ბოსტანს, ვენახს, ბაღს და ყურადღებას არ აქცევენ ნაყოფისცვლას. ამ შემთხვევაში, თუ ზეადაგს არ უბრუნებენ, რაც მცენარის ნაყოფმა გამოართვა—მიწა ილლება და მცენარე ნაყოფს აღარ იძლევა.

დაღლილი მიწა თხოულობს დასვენებას და ასეთს მიწას ასვენებენ, ე. ი. სტოვებენ რამდენსამე წელიწადს ისე, რომ მასზედ არაფერს სთესვენ და საძოვრად აქცევენ. მაგრამ კარგად რომ დავუკვირდეთ საქმეს, ეს სრულებით არ იქნება მიწის დასვენება. როდესაც ადამიანი დილიდგან საღამომდე მუშაობს საქმის შესასრულებლად, ძალასა ხარჯავს, იღლება და მით უფრო მალე იღლება თუ მთელი დღე არა სჭამს და არა სვამს. ასეთი მუშა მაუშაობას რომ მოვაცდინოთ და დავსვათ მართალია, რამდენადმე შეისვენებს, მაგრამ თავის ძალ-ღონეს მაინც ვერ დაიბრუნებს, თუ საკმარისი საჭმელი არ სჭამა და ამით არ აღიდგინა დაკარგული ენერგია. აგრეთვე მიწაც: მართლა ადამიანსავით-კი არ იღლება, არამედ შემოელია მხოლოდ ის საკვები ნივთიერებანი, ნომელნიც ასაზრდოებდნენ მცენარეს. ამ ნივთიერებათა ხელახლა შესაგროვებლად საჭიროა მიწაში დაიშალოს უსარგებლო, მაგარი მინერალური საკვები ნივთიერება და ეს შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც მასზედ მოქმედებს ჰაერი, სითბო-სიცივე, წყალი და სხვ. ამიტომ ზეადაგი უსათუოდ ფხვიერი უნდა იყოს. თუ ეს არ შეიძლება, მიწას უნდა შეჰმატონ გარედგან მისი დახარჯული ნივთიერებანი, უნდა „გაასუქონ“ პატივით.

გარდა მინერალურ ნივთიერებისა ზეადაგში ორგანული ნაწილებიც არის: როდესაც ცხოველი ან მცენარე კვდება, მისი ტანი იხრწნება, ლპება, ზეადაგს უტოვებს ორგანულ ნაწილებს. როდესაც მცენარის ან სულდგმულის ტანი სრულიად დალპება, ზეადაგს უბრუნდება ის მინერალური ნივთიერებანი, რომელნიც იქიდგან გამოტანილი იყო. ჰაერსა და მიწას უბრუნდება O, H, C, N *) როგორც გაზი წყლისა (H_2O), ამმიაკისა (NH_3) ნახშირდედის სიმჟავისა (CO_2). სანამ ორგანული ნაწილები სრულიად გაიხრწნება, დალპება დიდი დრო უნდა და ამასობაში სხვა-და-სხვა სახეს იღებს და იცვლება. სხვათა შორის მუქს ან სულ შავ ფერს იღებს და ამ ფერს აძლევს ზეადაგსაც და ამას დიდი მნიშვნელობა აქვს ზეადაგისთვის. ზეადაგი, რომელშიაც ორგანიული ნაწილები არის, ძალიან მალე თბება მზის სხივებით, და სითბოს დიდხანს ინახავს. აგრეთვე დიდხანს ინახავს ზეადაგში წყალს. ორგანიული ნაწილები სპობენ ზოგიერთ მიწის ნაკლულევანებას, მაგალითად, მძიმე, ცივსა და მაგარს თიხის მიწას აფხვიერებენ, ათბობენ; ხოლო ფხვიერ სილიანს მიწას რაოდენადმე ამაგრებენ, დიდხანს წყალს იჭერენ და სხვა.

ნ. მკურნალი.

(შემდეგი იქნება)

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი

„მიკუნჭული ბედნიერება“ დრ. 3 მოქ. ზუდერმანისა, თარგ. გ. რცხილაძისა და „დუელი“ კ. გალუსტოვისა.

პირველად უნდა აღვნიშნოთ გულ-გრილობა ქართველ საზოგადოებისა, რომელიც ხუთშაბათის წარმოდგენას ძალიან ნაკლებად—და თითქმის სულ—არ დაესწრო. მოსახსენებელია გრეთვე დრამატიულის საზოგადოების გამგეობის მოღვაწეობა, რომელიც არის მიზეზი ქართველ საზოგადოების დაფრთხობისა თეატრიდგან, მაგრამ... ეს რა რეცენზენტის საქმეა.

ხუთშაბათის წარმოდგენა მარტო იმით არ იყო შესანიშნავი, რომ ხალხი არ მიიზიდა, განსაკუთრებული იყო იგი აგრეთვე იმით, რომ იშვიათის გულგრილობით თამაშობდნენ მსახიობნი.

აქ არ გამოვუდგები ცალ-ცალკე მსახიობთა თამაშობის დაფასებას, აღვნიშნავ მხოლოდ საერთო შთაბეჭდილებას, რომელიც დაგვრჩა ზუდერმანის პიესის წარმოდგენიდგან.

ერთი მსახიობი იდგა სცენაზედ და ეჩურჩულებოდა მეორეს, თითქოს ეშინოდა, მაყურებელმა არ გაიგონოსო. მეორე ძალდატანებულად დადიოდა სცენაზე და თვალები კარებისაკენ ეჭირა, ჩქარა გავიდეო. მესამე ლაპარაკობდა ჩუმად, მხოლოდ ზოგჯერ ხმას აუმაღლებდა და ამ დროს მუხლებსაც დაუწყებდა ცემას. მეოთხე დრამატიულ მომენტების დროს ან პირისახეზე ხელს მიიფარებდა, ან ზურგს შეაქცევდა მაყურებელს, მეხუთე... მაგრამ კმარა.

დასასრულ წარმოადგინეს „დუელი“, რომელიც ამას წინადაც იყო ნათამაშევი.

ა—ნა.

სასამართლო

გუშინ, 7 იანვარს, ტფილისის ოლქის სასამართლოს სასისხლო საქმეთა განყოფილებაში დაიწყო გარჩევა სიმონ აკოფოვისა და სამსონ დანელიას საქმისა, რომელთაც ბრალდებოდათ რვა დეკემბერს, 1901 წელს, კომერსანტ ი. ნ. ერვიეს მოკვლა იმ მიზნით, რომ ძვირფასი ნივთები და ფული, რომელიც მუდამ ბლომად ჰქონდა ხოლმე სახლში განსვენებულს. გუშინ სასამართლოში ამ საქმის გამო დაბარებული იყო 20-დე მოწმე, რომელთა ჩვენების ჩამორთმევამ 3 საათამდე გასტანა.

(დასასრული იქნება)

—

5 1/2 საათზე სასამართლომ გამოაცხადა განაჩენი, რომლითაც ბრალდებულნი დამნაშავედ იქმნენ ცნობილნი და მიესაჯა კატორგაში გაგზავნა: აკოფოვს—20 წლით, დანელიას—15-ით.

წერილები

რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ნება მიბოძოთ თქვენის პატ. „ივერიის“ საშუალებით უღრმესი მადლობა გამოვუცხადო შემდეგ პირთ, რომელთაც შემოსწირეს სათავად-აზნაურო სკოლის მოსწავლე გრ. კ. ავალიშვილის სასარგებლოდ.

თავ. დ. ზ. მელიქიშვილმა 20 მან. კნ. ვ. ა. ბაგრატიონისამ 5 მან. კნ. ნ. ა. ხერხეულიძისამ 5 მან; ბატ. დ. ზ. სარაჯიშვილმა 5 მან; თავ. კ. გ. ციციშვილმა 5 მან; თავ. ციციშვილმა 1 მან; თავ. ს. ს. ამირეჯიბმა 2 მან; თავ. გ. ა. ბაგრატიონ დავითიშვილმა 1 მან; თავ. გ. დიასამიძემ 1 მან; № 1 მან; ქალბ. გოლუბევმა 1 მან; ბატ. ტარსაიძემ 1 მან; თავ. ს. ბეგთაბეგიშვილმა 1 მან; ბატ. ს. გ. კლდიაშვილმა 1 მან; ბატ. ი. ნიკოლაძემ 1 მან.

ფული გადაეცა სათავად-აზნაურო სკოლის ინსპექტორს ბავშვის წლიურ გარდასახადათ.

კნ. ანნა შანშეს ასული ბაგრატიონისა.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

6 თებერვალი.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატა. რანნერმანი ითხოვს განმარტებას შესახებ შაქრის კონვენციისა. ბალფური უპასუხებს, რომ მთავრობის აზრით, იგი არ შეეხება პრინციპს ყველაზე საშეღავათიანო ერისას. რუსეთი სხვა აზრის იყო და ამიტომ ინგლისმა წინადადება მისცა უარეყო სავაჭრო ხელშეკრულობა. რუსის მთავრობა ახლა აცხადებს, რომ მას საკუთარი შეხედულობა აქვს და ამ კითხვას ისე უყურებს, ვითარცა აკადემიურს.

იოკაჰამა. პრინცი კომანსიუ გარდაიცვალა.

პუერტო-კაბელო. უფროსმა შედერმა 2 თებერვალს 15 შეპყრობილი ვენესუელის მეთევზეთა ნავი პატრონებსვე დაუბრუნა.

მადრიდი. ისპანიის ტანჟერის ელჩი იუწყება, ფეციდგან 70 კილომეტრზე ბრძოლა იყოო და, როგორც ხმა ისმის, სულთანს გაემარჯვაო.

მიუნხენი. პრინც-რეგენტმა სამსახურიდგან დაითხოვა სახელმწიფო მინისტრი კრაილგეგეიმი, მისივე თხოვნით.

ფეცი. მინისტრის რაზმმა დაამარცხა ევლიდი ჯაფარნი და ხიანთა ნაწილი. ბევრია მოკლული და დაჭრილი. მოკლულთა თავები გამოგზავნეს ბევრ ტყვეებთან ერთად. გარნა ლაპარაკია არა ტახტის მაძიებლის ამალის შესახებ.

პეტერბურგი. მათ იმპერატორებით უდიდებულესობათ ინახულეს გამოფენა „აწინდელი ხელოვნება“.

7 თებერვალი.

ხარკოვი. გამოძიება სწარმოებს სავაჭრო ბანკში მომხდარ ბოროტ-მოქმედების შესახებ. 7 თებერვალს გათავდება მოწმეთა ჩვენების ჩამორთმევა.

სტამბოლი. მადლობა გამოუცხადა პორტამ ბოლგარიის მთავრობას, სულთანმა-კი თავად ფერდინანდს მაკედონელთა კომიტეტის წინააღმდეგ ღონისძიებათა მიღებისათვის.

რომი. იტალიის ელჩმა ოტტომანის იმპერიაში მალასტინამ მიიღო მოწერილობა პორტიდგან, მხარი მიეცა ავსტრია-უნგრეთისა და რუსეთის ელჩთ, რომელნიც მოქმედებენ მაკედონიაში რეფორმათა მოხდენის შესახებაო.

ბუდაპეშტი. დუელი ჰქონდათ მინისტრს ფეიერვარისა და დეპუტატს ლენგიელს იმის გამო, რომ პირველმა მეორეს პალატაში დაუყვირა: „შენ სტყუი“. მინისტრი მსუბუქად დაიჭრა მარჯვენა მხარში.

სოფია. სახალხო კრებამ მოიწონა ის ღონიძიებანი, რომელთაც მთავრობა მაკედონელთა წინააღმდეგ ხმარობს.

ვენა. გადასწყდა, მიღებულ იქმნას კანონპროექტი ჯარის-კაცთა რიცხვის მომატების შესახებ.

პეტერბურგის ბირჟა, 4 თებერვალს.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	94,05
ბერლინში 100 მარკაში	46,05
პარიჟში 100 ფრანკში	37,42 1/2
ლონდონში ჩეკები	94,90
ბერლინში „	46,27 1/2
პარიჟში „	37,72 1/2
ბირჟის დისკონტი	5—6 1/2 %
4 % სახელმწიფო რენტა	98 1/8 გაყ.
4 % სახ. სესხი 1902 წ.	101 გაყ.
4 % გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	95 მყიდ.
5 % 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	458 1/4 გაყ.
5 % მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	367 1/2 წვ. გაყ.
5 % გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	306 3/4 წვ. გაყ.
5 % ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	89 7/8 წვ. გაყ.
4 1/2 % ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
5 % ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	90 3/4 წვ. გაყ.
4 1/2 % გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
6 % ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5 % გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	91 წვ. გაყ.
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	—
აქციები „ „ „	—
„ კასპიის ამხანაგობისა.	—
„ ბაქოს ნავთის საზოგად.	406 წვ. გაყ.
„ ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	203 წვ. გაყ.

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდგან 15 მაისამდე.

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბაქოს:—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

ყარსს:—1) საფოსტო № 70/71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლისა № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

მიხაილოვისა და ბორჯომს:—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

შორაპნამდე:—საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 21 მ.). წა

გ) ბაქოდგან გამოდის:

ტფილის ბათუმისაკენ: —1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.); 3) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) პარასკეობით, პირდაპირ მოსკოვიდგან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

დ) ქუთაისიდგან გამოდის:

ბაქო ტფილისისაკენ:—ღამის 1 ს. 30 წ. (2 ს. 38 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 1 ს. და 40 წ. (2 ს. 38 წ.);

ბათუმისაკენ: 1) ღამის 3 ს. და 10 წ. (4 ს. 8 წ.) 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.) 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

შორაპნისაკენ:—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს 8 წ.).

ე) ფოთიდგან გამოდის:

რიონ-ქუთაისამდე:—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

სამტრედია-ბათუმამდე:—ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს. 25 წ.).

სამტრედია-ბაქომდე:— საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 ს. 8 წ,).

განცხადება

ახალი გამოცემანი

წერა-კითხვის საზოგადოების

1) **ბუნების ცოდნა**, თხუზულება პოლ ბერისა, თარგმანი პეტრე სურგულაძისა, 26 სურათით, ფასი 25 კაპეიკი.

2) **ასპინძის ომი**, ისტორიული ამბავი საქართველოს წარსულიდან, იაკობ გოგებაშვილისა, მესამე, შევსებული გამოცემა, მეფე ერეკლეს ორი პორტრეტით დ ახალციხის მხრის ქარტით. ფასი შვიდი კაპეიკი.

3) **თავდადებულნი ქართველნი**, მისივე, მეორე გამოცემა. ცხრა სურათით, ფასი შვიდი კაპეიკი.

ვინც ათობით იყიდის ამ ორს უკანასკნელს წიგნაკს, თითო ცალი დაეთმობა ექვსს კაპ., ვინც ოცობით წაიღებს, იმას შაურად მიეცემა.

ქუთაისში

ს. მ. ბ. თოფურიას

სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშ, 60 საწოლია შინაგან, ნერვების, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ხეხილის ნერგები

საზღვარ-გარეთისა და ადგილობრივი, საუკეთესო ხარისხისა, იყიდება ზომიერ ფასად

ფარს. იაკ. ავსარქისოვის მამულში.

ადრესი: უბრალო წერილებისათვის—„სკრა“, კავკ. რკინის გზის სადგური, ხოლო ფულისა და „ზაკაზნოი“ წერილებისა: გორში, ფარს. იაკ. ავსარქისოვს.

კატალოგები მსურველთ გაეგზავნებათ უფასოდ. (6—33—1)

სიწად-მოქმედებისა და სახელოსნო ახალშენებისა და თავ-შესაფართა საზოგადოების კავკასიის განყოფილების გამგეობა, წესდების § 16 თანხმად აცხადებს, რომ 16-ს თებერვალს, 1902 წ., ნაშუადღევის 1 საათზე ტფილისის სამოსამართლო პალატაში დანიშნულია ხსენებულ საზოგადოების წევრთა კრება.

განსახილველი საგნებია:

1) გამგეობის 1902 წლის მოქმედების ანგარიში.

2) ფულის ანგარიში 1902 წლის განმავლობაში.

3) ზემო-ავჭალის გამასწორებელ ახალშენის 1902 წ. ანგარიში.

4) შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვა 1903 წლისათვის.

5) სარევიზიო კომისიის მოხსენება 1902 წ. ანგარიშისა და 1903 წლის ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ.

6) კითხვა გამგეობის 4 წევრისა, კანდიდატებისა და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევის შესახებ.

7) კითხვა ი. დ. მაღალაშვილის დირექტორად დამტკიცების შესახებ.

შენიშვნა: კრება კანონიერად ჩაითვლება, თუ ოცი წევრი დაესწრო (17 პარ. საზოგად). (3—1)

წმიდა ნინოს ზავედენიაში რვა კლასდამთავრებული ქალი

ამზადებს ბავშვებს

ყველა საგანში **გიმნაზიისათვის.**

მსურველთ სთხოვს მიჰმართონ ნაშუადღევის 2 საათიდგან ანასტასიის ქუჩაზედ, № 11 (Анастасіевская, № 11) ეზოდგან მარცხენა კიბე.

(5—29—2)

ღვთის-მოყვარულთა ქრისტიანეთა მიმართ

სოფელი ნაღვარევი, რომელიც მთიულეთშია, დარჩა უეკკლესიოდ, ხალხი-კი აქ მეტად ღარიბია და დავიწყებული ყველასაგან. 100 კომლამდე მცხოვრებელია, მაგრამ ორასი კომლიც რომ იყოს, რა მოახერხოს ასეთმა ბეჩავმა ღარიბ-ღატაკმა მთიულმა ხალხმა? იქამდე ღარიბნი და საწყალნი არიან, რომ წლითი-წლამდე მათი საზრდო მხოლოდ სიმინდი და ქერია, რომელსაც ყიდულობენ ქ. კავკავში 110 ვერსის მანძილზედ და ტანჯვა-ვაებით გადმოაქვთ თავიანთ სახლში.

ამიტომ განვიზრახე მოგროვება ფულისა და აგება ეკკლესიისა. ამ აზრით გამოვითხოვე წიგნი მათ მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესობის ალექსისაგან, რომ შეწირულებითა და შეწევნითა ხალხისათა აღვაშენო ნაღვარევის სამრევლოში სახლი ღვთისა, წმ. გიორგის სახელობაზედ. ვიმეორებ-რა ამ თხოვნასა, ვევედრები და ვაწუხებ ყველა ღვთის მოყვარულ მართლ-მადიდებელ ქრისტეანეთა და ვსთხოვ უმორჩილესად შემწეობა აღმოუჩინონ ამ წმიდა საქმესა.

ჩემი ადრესი:

Ст. Млеты. Воен.-Груз. дор., Т. обл. Сборщику доброхотныхъ пожертвованій на постройку новаго храма въ сел. Нагвареви, причетнику Алексѣю Арганашвили.

---

*) O—ნიშნავს მჟავედას; H—წყალედას,—C—ნახშირედას, №—აზოტს.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 7 февраля 1903 г. Типографія „Гутенбергъ“ (кн. Гр. Н. Діасамидзе) Дворцовая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. სარაჯიშვილი.